სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 22 დეკემბერი 1999 №245 (1018) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 სენსაციათა დღე

მიხიჩას ცუდი დებიუტი. რატი ალექსიძე მწვრთნელის რანგში. „შერიფი“ ვერაზე. „ბენდელა“ იწყებს და აგებს. აშვეთია, მეგრელაძე, ქებაძე, ჩომახიძე და გიგიაძეები „იბერიაში“? „თბილისმა“ სფფ-ს ჯავრი ამოიყარა. ლაცაბიძე ლაცაბიძის წინააღმდეგ

6 ახლა ფლამენგოს დროა

მერკოსურის თასის ფინალში პალმეირასი მეორედ გავიდა, მაგრამ... ფლამენგომ კი 1981 წლის შემდეგ პირველად მოიგო სამხრეთამერიკული ტიტული

10 საუკუნის რუმინელები



ჩვენი მეტოქე გეორგე ჰაჯი რუმინელებმა საუკუნის ფეხბურთელად დაასახელეს

13 ტაისონის მეტოქეს კანდელაკი გამოცდის

გიორგი კანდელაკმა კიდევ ერთხელ იჩხუბა და კიდევ ერთხელ გაიმარჯვა

რივალდო: ცხვირის ანევას ყურის ანევა მოჰყვა

ვან გაალმა ევროპის ტრიუმფატორი სკამზე დასვა



რივალდო — ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1999 წლის ევროპის საუკეთესო მოთამაშე, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ ლაურეატი.

რივალდო — კაცი, რომელსაც ვარსკვლავური ავადმყოფობის სიმპტომები შენიშნეს.

— „ბარსელონას“ მარად ერთი ფილოსოფია აქვს, ყველაფერზე მთავარი კლუბია. ფეხბურთელებიცა და მწვრთნელიც მხოლოდ და მხოლოდ მოჯამაგირეები ვართ, რივალდომ კი გუშინ გამომიცხადა, რომ მარცხენა ფრთაზე თამაში აღარ ეპიტნავება და ცენტრში მოქმედება სურს. მისი ნათქვამი, როგორც ჩემთვის, ასევე მოთამაშეებისთვის მოულოდნელობა გახლდათ. სირცხვილია — განაცხადა ესპანეთის ჩემპიონის მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა და დაამატა — ვარსკვლავს 22 დეკემბერს „რაიო ვალეკანოსთან“ არ ვათამაშებო.

ორი დღის წინ საუკეთესოდ აღიარებული დღეს დასჯილია, მაგრამ ჯერჯერობით მთავარი ეს არ გახლავთ, ჯერჯერობით მას დიდების შარავანდედი მოსავს.

რივალდო და რივალდომდე... იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

მსოფლიოს ჟურნალისტებმა მძლეოსნები ირჩიეს



მაიკლ ჯონსონი

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS), რომელიც 135 ქვეყნის სპორტზე მწერლებს აერთიანებს, 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალ-ვაჟად დაასახელა მძლეოსნები, რუმინელი გაბრიელა საბო და ამერიკელი მაიკლ ჯონსონი.

ამ მორბენლებს ასეთი პატივი თავად მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამაც (იააფ) დასდო და 1999 წლის საუკეთესო მძლეოსნებად დაასახელა.

მაიკლ ჯონსონმა წლეულს სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე 400 მეტრზე მსოფლიოს რეკორდით გაიმყარა პოზიციები.

გაბრიელა საბოს უმთავრესი წარმატებანი 5000 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, ოქროს ლიგისა და დიდი პრიზის მოგება და ისაა, რომ იგი პირველი მძლეოსანია, რომელმაც სეზონში მილიონ დოლარზე მეტი მოიხვეჭა.

მსოფლიოს ჟურნალისტთა რჩეული გუნდი კი ინგლისის საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედია“, რომელმაც წლეულს ჩემპიონთა ლიგა, პრემიერლიგა, ინგლისის ასოციაციისა და საკონტინენტთაშორისო თასები მოიგო.

გაბრიელა საბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენდელას თასი

სენსაციათა დღე

პირველი ჯგუფი

იბერია I 5:1 გურია-ოლიმპიკი
აშვეთია 2, მეგრელაძე 2, ჩომახიძე — (იბერია)
ფეიქრიშვილი — (გურია-ოლიმპიკი)

ბენდელა-მორკინალი 2:3 მოყვარულები
ტყავაძე, დემეტრაძე — (ბენდელა)
ბახტაძე, ბაბუნაშვილი, არეშიძე — (მოყვარულები)

მეორე ჯგუფი

ზოოვეტი 2:0 სოლოლაკი
შუკაკიძე, ზაკუტაშვილი — (ზოოვეტი)

ვერა 3:1 არსენალი
დ. მუჯირი 2, რევაზიშვილი — (ვერა)
სულაძე — (არსენალი)

მესამე ჯგუფი

მეტეხი 3:2 იბერია II
გვასალია, ხომერიკი 2 — (მეტეხი)
მუმლაძე, ივეჩიანი — (იბერია II)

დინამო 3:1 ლიდერი
სახვაძე, დათუაძე, ლ. მიქაძე — (დინამო)
მდინარაძე — (ლიდერი)

მეოთხე ჯგუფი

თბილისი 10:3 სფფ
ი. შენგელია 3, ბურდული 3, გ. მიქაძე 2, კაკაშვილი, ჩივაძე — (თბილისი)
ლ. ყიფიანი, კორღალიძე, მაჭავარიანი — (სფფ)

ლოკომოტივი 0:4 ნაძალადევი
თოლორდავა, ბერიშვილი, მეტრეველი, მოსულიშვილი — (ნაძალადევი)

მიხიჩას ცუდი დებიუტი. რატი ალექსიძე მწვრთნელის რანგში. „შერიფი" ვერაზე. „ბენდელა" იწყებს და აგებს. აშვეთია, მეგრელაძე, ქებაძე, ჩომახიძე და გიგიაძეები „იბერიაში"? „თბილისმა" სფფ-ს ჯავრი ამოიყარა. ლაცაბიძე ლაცაბიძის წინააღმდეგ.

ბაჩო კორინთელის ფოტო

„ვერელი" გიორგი რევაზიშვილი არმიელთა მეკარე ზვიად კუპატაძესთან პირისპირ

გუშინ, 21 დეკემბერს, სპორტის სასახლეში გაიხსნა ქართული ფეხბურთისთვის უკვე ტრადიციად ქცეული „ბენდელას თასი". ტურნირი წელს იშვიათი წარმომადგენლობით გამოირჩევა და მასში გამარჯვებას თექვსმეტი გუნდი ეცილება ერთმანეთს. მონაწილეები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი და მომდევნო ეტაპზე ორორი საუკეთესო გავა, სადაც უკვე პლეიოფის სისტემით გაიმართება თამაშები. ტურნირი 27 დეკემბერს დასრულდება. მანამდე კი სპორტის სასახლეში მისული მაყურებელი არაერთი ლამაზი მატჩის ხილვას მოასწრებს.

მაყურებლის ინტერესი იმანაც უნდა გააღვივოს, რომ თექვსმეტ მონაწილე გუნდში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გამოდის — დემეტრაძე, ჯამარაული, ანჩაბაძე, ნემსაძე, ტყავაძე, სოლოლაშვილი („ბენდელა"), დ. მუჯირი, რევაზიშვილი, ხუციშვილი („ვერა"), აშვეთია, ქებაძე, ტყუპი გიგიაძეები, ჩომახიძე, მეგრელაძე („იბერია"), აკაკი დევაძე („ნაძალადევი"). ამათ გარდა ტურნირს წარსულში ცნობილი ფეხბურთელებიც დაამშვენებენ. ისინი ძირითადად სფფ-ს გუნდში გამოდიან და ძველ კარგ დროსაც გაახსენებენ დამსწრეთ — ლევან ყიფიანს, დავით პეტრიაშვილს, ოთარ კორღალიძეს, მალხაზ ლაცაბიძეს, მამუკა მაჭავარიანს, გია ისიანს დიდი წარდგენა არ სჭირდებათ.

„ბენდელას თასის" თამაშები ერთი და იგივე განრიგით გაიმართება — შეხვედრები დილის თერთმეტ საათზე დაიწყება და დაახლოებით საღამოს შვიდისთვის დამთავრდება. მატჩი ორი ტაიმისგან შედგება, თითო ტაიმი კი ოცდახუთწუთიანია.

ტურნირის პირველი დღე I ჯგუფის თამაშებით გაიხსნა. პირველი შეხვედრა სამტრედიის „იბერიის" პირველმა გუნდმა და ლანჩხუთის „გურია-ოლიმპიკმა" გამართეს. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ შეხვედრის გარდა კიდევ შვიდი მატჩი ჩატარდა და მათგან ბოლო „დინამო" — „ლიდერი" გახლდათ.

ახლა კი ფეხბურთზე და იმ მოვლენებზეც, რომელთა შესახებ ქვესათაურებშიც გაიჟღერა.

მიხიჩა — რევაზ ძოძუაშვილის ცუდი დებიუტი მისი „ლოკომოტივისა" და „ნაძალადევის" მატჩში შედგა. თბილისის ძველი უბნის ფეხბურთელთა შორის ყოფილი მერანელი გიორგი კვეტენაძე, ბელარუსის მპკც-ში გამოსვლით ცნობილი ლევან ბერიშვილი და ერთ დროს ეროვნული ნაკრების პირველი მეკარე აკაკი დევაძე თამაშობდნენ. სწორედ მათი ძალისხმევით შეძლეს ნაძალადეველებმა ძოძუაშვილის სამწყსოს დამარცხება სოლიდური ანგარიშით — 4:0. ალბათ, ეროვნული ნაკრების თანამწვრთნელი შესაბამის დასკვნებს გამოიტანს სადებიუტო მატჩიდან.

თავისთვის უჩვეულო, მწვრთნელის ამპლუაში მოგვევლინა ტურნირზე რატი ალექსიძე. იმის მაგიერ, რომ „დინამოს" კაპიტანი თავის გუნდს უშუალოდ მოედანზე დახმარებოდა, რატიმ აილო და ვერისუბნის გუნდის მწვრთნელობა ითავა. გუნდში კი გაგიხარია, ლამისაა, ნახევარი მოლდოვური „შერიფი" ჰყავს — დავით მუჯირი, გიორგი რევაზიშვილი, მიხეილ ხუციშვილი ამჯერად „ვერელებისთვის წყვეტენ ყვავილებს" და სწორედ მუმუს ორმა და რევაზიშვილის ერთმა გოლმა გაამარჯვებინა „ვერას" „არსენალთან" შეხვედრაში.

შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, ტურნირის უდავო ფავორიტი „ბენდელა-მორკინალი" უნდა იყოს. დემეტრაძე, ანჩაბაძე, ტყავაძე, სოლოლაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, მეკარე ჯანელიძე — ძნელია, ამ ხალხს მინი (ალბათ, დიდიც) ფეხბურთი მოუგო, მაგრამ განსხვავებულად აზროვნება (სუფრაზეც და მის გარეც) ეტყობა, ჯონი ჯანელიძის სტილი. უნდა იყოს — „აკაკიჩის" გაწვრთნილმა მოყვარულთა ნაკრებმა ტოლი არაფერში დაუდო მინი-ფეხბურთის აღიარებულ ოსტატებს და თქვენ წარმოიდგინეთ, დაამარცხა ისინი. მართალია, ტურნირის პირველ დღეს „ბენდელამ" ჯამარაული და ნემსაძე მოისაკლისა, მაგრამ ეს ოდნავაც ვერ აკნინებს მოყვარულთა გამარჯვების სიდიადეს.

სამტრედიის „იბერიამ" თავი მოიქაჩლა და ერთბაშად ორი გუნდით ეწვია ტურნირს. ორივე გუნდის დამრიგებელი სოსო ფრუიძეა. ალბათ, სიცოცხლის გვარიან ნაწილს გაიღებდა ბატონი სოსო, ეროვნულ ჩემპიონატშიც რომ ისეთ ფეხბურთელებთან უწევდეს მუშაობა, როგორებიც — აშვეთია, ქებაძე, ჩომახიძე, მეგრელაძე, გიგიაძეები არიან. ამ „ტორპედო" — „დინამო" — „ლოკომოტივებში" ნათამაშევმა ფეხბურთელებმა ბდღვირი ადინეს ახალგაზრდა და სიმპათიური „გურია-ოლიმპიკის" კარის ბადეს და მათ ერთ გატანილს ერთბაშად ხუთით უპასუხეს. თავი ორორჯერ აშვეთიამ და მეგრელაძემ, ერთხელაც ჩომახიძემ გამოიდეს.

„იბერია" — „გურია-ოლიმპიკის" შეხვედრა ყველაზე უხვგოლიანი იქნებოდა, ახალგაზრდა „თბილისს" სფფ-ს გუნდი რომ არ მოესრა. განსაკუთრებით პირველი ტაიმის მიწურულს აიწყვიტეს ახალგაზრდა თბილისელებმა და იმდენჯერ გაუტანეს ვეტერან-ჩინოსნებს, ტრიბუნებიდან შესძახეს კიდეც — რას შერებით, ბიჭო, ჭაღარას მაინც ეცით პატივიო.

სფფ-ს ნამუსი ისევ ლევან ყიფიანმა, ოთარ კორღალიძემ და მამუკა მაჭავარიანმა მოსწმინდეს. ხელის გამოღებას მალხაზ (ჯაგა) ლაცაბიძეც აპირებდა, მაგრამ შეხვედრის მსაჯმა თამაზ ლაცაბიძემ ეტყობა, ერთბაშად ორი ლაცაბიძის მოედანზე ყოფნა მიზანშეუწონლად ჩათვალა და მოგვარეს წითელი „აუნთო". ჯაგასაც რაღა დარჩენოდა, მისი ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი და აგრერიგ განთქმული „სიმშვიდით" „დაემორჩილა" მსაჯს.

შეხვედრაში სულ ცამეტი ბურთი გავიდა და აქედან ათი „ახალი დინამოელებისა" იყო.

აი, ძირითადად ის დამახასიათებელი და აღსანიშნავი ფაქტები, რითაც პირველი დღე გამოირჩა. წინ კიდევ ბევრი მატჩი, უფრო მეტი გოლი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ლამაზი სანახაობაცაა...

ლუკა თალაკვაძე

დინამო როგორც დაიცალა, ისე გაივსო

თბილისის „დინამოს" ბოლო წლებში ერთი ცუდი წესი დასჩემდა — ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდში თავმოყრილ ფეხბურთელებს მწვრთნელები სეზონის მანძილზე „დინამოს" თარგზე ძლივს მოჭრიან, შეაგუებენ მარადი ჩემპიონის სათამაშო მანერას და სტილს, გუნდიც ბოლოს და ბოლოს იპოვის თავის თამაშს და...

ბაჩო კორინთელის ფოტო

თბილისელები: აბრამიძე, კვარაცხელია და ქემოკლიძე დინამოელები გახდნენ

დინამოელი ფეხბურთელების სხვადასხვა უცხოურ კლუბებში გაფანტვა-გასხვისება-განათხოვრების ჯერიც დგება.

ყოველთვის ასე იყო და წლეულს რა გამონაკლისი იქნებოდა ვითომ — აშვეთია უკვე ალანიელია, ალექსიძეც ფაქტობრივად წასულია გუნდიდან, ოღონდ ყველაფერი ლონდონური „ჩელსიდან" ზარმა უნდა გადაწყვიტოს — რატის ჰორიზონტზე ან ინგლისია, ან იგივე „ალანია". თავიანთ „იბერიას" დაუბრუნდნენ ტყუპი გიგიაძეები და ჩომახიძე, ქებაძეც უცხოეთში, კერძოდ საბერძნეთში ეშურება და...

ამის მერე ხომ ნათელია, რომ „დინამოს" ახალი სისხლი სჭირდებოდა და კორღალიძემაც ბადე გაშალა.

სხვა გუნდებიდან წვეულებზე ჯერ არაფერია ცნობილი და „თბილისმა" კი უკვე გამოსცადა, რას ნიშნავს „დინამოს" უმცროსი ძმობა — ლამის ნახევარი „თბილისი" უკვე დინამოელია.

ასე რომ, გაზაფხულს ყოფილი თბილისელები — გივი კვარაცხელია, ვალერი აბრამიძე, რევაზ ქემოკლიძე, ზურაბ ბათიაშვილი „დინამოში" შეხვდებიან.

მათ „ლოკომოტივში" სეზონგავლილი ლევან მიქაძე, ექსსიონელი დათუაძეც მიუმატეთ და... „დინამო" ისევ გაივსო.

ლუკა თალაკვაძე

ქართველის მკურნალობას სიტი აანაზღაურებს

გუშინ „მანჩესტერ სიტის" მენეჯერმა ჯო როილმა განაცხადა, რომ ელოდება სპეციალისტის დასკვნას იმის შესახებ, თუ რამდენი თვე დასჭირდება ქართველი მცველის, კახა ცხადაძის ახალ ტრავმის მოშუშებას. ცხადაძე წინა კვირას „სიტის" სარეზერვო გუნდში თამაშისას უმძიმესად დაშავდა.

ბაჩო კორინთელის ფოტო

კახა ცხადაძე

ქართველის მკურნალობას კლუბი აანაზღაურებს. როილსაც სწორედ იმიტომ აინტერესებს ექიმების აზრი, რომ კლუბის ბიუჯეტიდან თანხა გამოყოს.

„უკვე ცნობილია, რომ იგი წლეულს ველარ ითამაშებს. ახლა იმის დადგენას ვცდილობ, ახალი წლების შემდეგ რამდენ ხანს გასტანს მისი რეაბილიტაცია.

ძალიან შეგვაწუხა ცხადაძის უიღბლობამ" — თქვა როილმა. „სტოკ სიტისთან" მიღებული ტრავმა 1998 წლის აგვისტოდან მესამეა ქართველისთვის. თუმცა, მედიის ცნობით, იგი კარიერის დასრულებას არ აპირებს.

სიმონ მენაბდე

დემეტრაძე ჯანაშიასკენ

ჯანაშია კი სმერტინისკენ

რუსეთის საფეხბურთო სამყარომ 1999 წლის სეზონი შეაჯამა. გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ ფართომასშტაბიანი გამოკითხვა მოაწყო, რომლის მიზანი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება იყო. გამარჯვებულთა ვინაობა უნდა გარკვეულიყო ორ ნომინაციაში — ქვეყნისა და ჩემპიონატის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე.

გამოიკითხა 322 კაცი — 100 ჟურნალისტი, უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე 16 კლუბის ამდენივე მთავარი მწვრთნელი და 176 ფეხბურთელი, ევროპის წამყვან ქვეყნებში მოთამაშე 30 რუსი ლეგიონერი.

წლის საუკეთესო ფეხბურთელად ესპანური ვიგოს „სელტას“ წევრი ვალერი კარპინი დასახელდა. გამოკითხულთაგან 163-მა მას პირველი ადგილი მიაკუთვნა, 83-მა — მეორე, 36-მა კი — მესამე. საბოლოოდ კარპინს 697 ქულა დაუგროვდა და საგრძნობლად გაუსწრო მეორეადგილოსან მოსკოვის ლოკომოტიველ ალეკსეი სმერტინსა (384 ქულა) და მესამეადგილოსან თავისსავე თანაგუნდელ ალეკსანდრ მოსტოვოის (339 ქულა).

რაც შეეხება რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ნომინაციას, აქ უპირატესობა სმერტინს მიეკუთვნა. ზაზა ჯანაშიას თანაგუნდელმა 686 ქულით პირველობა არავის დაუთმო. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად სპარტაკელები — ტიხონოვი და ტიტოვი გავიდნენ.

სეზონის საუკეთესო გოლეადორი — გიორგი დემეტრაძე 112 ქულით მეოთხე აღმოჩნდა. დემეს გვარი პირველ ადგილზე 11-მა გამოკითხულმა ჩაწერა, მათ შორის არიან „კრილიას“ ქართველი კაპიტანი ზურაბ ფოფხაძე და მეკარე დავით გვარამაძე, ალანიელი დავით ჭიჭვეიშვილი. თავად გიორგიმ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ზაზა ჯანაშია დაასახელა. ზაზამ კი, თავის მხრივ, ორივე ნომინაციაში ერთადერთ ალეკსეი სმერტინს დაუჭირა მხარი.

საბოლოო მონაცემებით, ზაზა ჯანაშია მეშვიდე ადგილზე გავიდა. მას 23 ქულაღა დაუგროვდა.

ვეტერანმა ქართველმა, ნიჟნი ნოვგოროდის ლოკომოტიველმა გოჩა გოგრიჭიანმა, აქაოდა მიკერძოებაში არ ჩამომართვანო და უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე ფეხბურთელთა საუკეთესო სამეულში ვერც ერთ თანამემამულეს ვერ გამოუნახა ადგილი...

ხვიჩა სანიკიძე

გელა შეყილაძე (№4) ნორვეგიელებთან თბილისური მატჩის დროს

ბადრი კეთილაძის ფოტო

შეყილაძემ ფსა გამოიჩინა

გასული კვირის საუკეთესო ლეგიონერის არჩევისას დიდი არჩევანი არ გვქონია. იმ ქართველებიდან, რომელთა კლუბები თამაშს ჯერ კიდევ განაგრძობენ, მხოლოდ შვიდმა ითამაშა.

საუკეთესოდ მათ შორის ბელგიის „ლიერსის“ ბათუმელი მცველი გელა შეყილაძე მივიჩნიეთ. ქართველმა თასის მერვედფინალში თამაშის შემობრუნება შეძლო. „ლიერსი“ მეორედივიზიონურ ლიდერს, „ანტვერპენს“ სტუმრობდა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფარმ-კლუბია. მატჩს 12 000 მაყურებელი დაესწრო. ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა ქვედა ლიგაში მოთამაშე გუნდის წინააღმდეგობა ვერა და ვერ დაძლია. ის კი არა, „ანტვერპენს“ ძირითად დროში მოგებაც შეეძლო.

შეყილაძე „ლიერსის“ თავკაცმა ვალტერ მეუვსმა 95-ე წუთზე შეიყვანა მინდორზე. ქართველმა ამსტერდამის „აიაქსიდან“ ახლახან აყვანილი პოლონელი პეტერ რუდი შეცვალა. 5 წუთში სწორედ შეყილაძემ წამოიწყო საგოლე კომბინაცია, რომელმაც „ანტვერპენი“ საბოლოოდ გატეხა. 110-ე წუთზე ქართველის პასით ანგარაში ვან დერ ვეირმა გასხნა. რ წუთში კი სომერსმა იგი გააორმაგა. მასპინძლებმა ასლა მოხერხეს რეგ პრესტიჟის გადარჩენა. ნოერ-კი მეოთხედფინალში გავიდა.

სტოლე ტადაცემა გაანადგურა. ჯაკობიმაც, თუმცა „ვეზეტი“ ისევ დამარცხდა. ჯაკობიამ უკვე მეექვსე წუთზე დააწინაურებინა თავისიანები ასმს, მაგრამ ამის შემდეგ „მაასლანდმა“ 3 გოლი გაიტანა და „ვეზეტი“ ისევ აუტსაიდერად დატოვა.

ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ტურში ლევან კობიაშვილმა „კიკერისგან“ 3 დაიმსახურა. „ვოლფსბურგთან“ ლევანის დაწყებული კომბინაციიდან შეგოლე სელიმმა ბურთი ძელს მიარტყა, შემდეგ ქართველი თავად შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, თუმცა დარტყმა არ გამოუვიდა. საბოლოოდ — 1:1. წრე კი „ფრაიბურგმა“ არცთუ სახარბიელო მე-12 ადგილზე დაასრულა.

ისრაელში ლიდერობა დაიბრუნა გოგა გახოკიძის ჰაიფას „მაკაბიმ“. ქართველს ამჯერად არ გაუტანია. „ბნეიიეჰუდა“ მოლდოველმა სერგეი კლეშჩენკომ დაამარცხა — მან საგოლე პასიც გააკეთა და გოლიც გაიტანა. გიორგი დარასელიას „ქვარ-სავამ“ კი მეორე ადგილზე მყოფ თელ-ავივის „ჰაპოელთან“ 0:1 წააგო. დარასელიამ თავის ყოფილ კლუბთან საშუალო დონეზე ითამაშა და 5 ბალი მიიღო.

პრემიერლიგის მე-18 ტური კი გიორგი ქინქლაძემაც და თემურ ქეცბაიამაც სათადარიგოთა სკამზე გაატარეს. არადა, „ლესტერთან“ შეხვედრამდე ჯიმ სმიტი აცხადებდა, ქართველის დიდი იმედი მაქვსო. ამის მიუხედავად, „დერბიმ“ სასწაული მოახდინა — მოიგო და მცირედით გაიუმჯობესა მდგომარეობა, „ნიუკასლმა“ კი აუტსაიდერ „ბრედფორდს“ აჩუქა 3 ქულა და მე-15 ადგილზე დარჩა.

გასულმა კვირამ შვეიცარიის ჩემპიონატი გამოგვაკლო. იქ პირველი წრე დასრულდა. ფედერაციას კი ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ იქნება ფინალური ეტაპის მერვე მონაწილე — ქართველების „ციურიხი“ თუ „ქსამალქსი“. შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში მათ 1:1 ითამაშეს და მე-8 ადგილი „ციურიხს“ დარჩა, თუმცა „ქსამალქსმა“ ფედერაციაში იჩივლა, „ციურიხმა“ 7 ლეგიონელის ნაცვლად 8 ათამაშა და წაგება ეკუთვნისო.

სიმონ მენაბდე

გაბისკირია ისრაელში წავიდა

ოჩამჩირის „ამირანისა“ და სოხუმის „ცხუმის“ ყოფილი მოთამაშე იური გაბისკირია ახალი წლიდან ისრაელის მეორე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბში იასპარეზებს. გაბისკირია ისრაელში კრასნოდარის „ყუბანიდან“ გადავიდა, რომელიც რუსეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში თამაშობს. „ყუბანში“ გატარებული გასული სეზონი გაბისკირიასთვის წარმატებული გამოდგა, ქართველმა 18 გოლი გაიტანა და დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირთა ოთხეულში შევიდა. ისრაელში გაბისკირიას ერთი ქართველი დახვდება — რამდენიმე წელია, მეორე დივიზიონში ლანჩხუთის „გურიას“ ყოფილი მცველი გოჩა ტყემუჩავა თამაშობს.

სიმონ მენაბდე

თეთრაძემ გაზაევს სიტყვა გაუტეხა

ომარ თეთრაძემ ორშაბათს კიდევ ორწლინახევრით გააგრძელა კონტრაქტი საბერძნეთის „პაოკ“-თან. ამით ბოლო მოეღო ჭორებს, თითქოს ფეხბურთელი მოსკოვის „დინამოში“ ბრუნდებოდა. საინტერესოა, რომ ომარმა ამ ტრანსფერზე საუბარი თავად წამოიწყო, მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან „დინამოს“ ახალი დამრიგებელი ვალერი გაზაევი ესტუმრა.

გაზაევის წასვლის შემდეგ თეთრაძემ „პაოკ“-ის წარმომადგენლებს — ბატატოიდისსა და გოდოპულოსს განუცხადა, რომ გუნდის დატოვება სურდა, რათა მოსკოვში ოჯახთან უფრო ახლოს ყოფილიყო.

საპასუხოდ სალონიკურმა კლუბმა თეთრაძეს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის ფინანსური მხარე გაოგნებულია. სავარაუდოა, რომ თეთრაძემ სწორედ დიდი ფულის გამო გაუტეხა გაზაევს სიტყვა.

როგორც „პაოკ“-ის წარმომადგენელმა გეორგ ბატატუიდისმა განაცხადა, კლუბმა მას შემდეგ გადაწყვიტა თეთრაძესთან კონტრაქტის გაგრძელება, რაც მწვრთნელმა დუშან ბაევიჩმა თქვა, რომ თეთრაძე სჭირდება“.

შეგახსნებთ, რომ საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაძისთვის „პაოკ“-ი მეექვსე კლუბია. საქართველოში იგი თბილისის „დინამოსა“ და ოზურგეთის „მერცხალში“ თამაშობდა. შემდეგ წავიდა მოსკოვის „დინამოში“, რომელსაც მაშინ გაზაევი წვრთნიდა. მასვე გაჰყვა ვლადიკავკაზის „ალანიაში“, საიდანაც იტალიურმა „რომამ“ შეიძინა. სერია A-ში უიღბლო გამოსვლის შემდეგ თეთრაძე სეზონის დასაწყისში სალონიკის „პაოკ“-მა იყიდა.

საინტერესოა, რომ ბერძნული მედია ომარს ქართველ ნახევარმცველად მოიხსენიებს.

სიმონ მენაბდე

ომარ თეთრაძე შვილთან ერთად

ბადრი კეთილაძის ფოტო

სახელი გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი					
პრემიერლიგა					
თემურ ქეცბაია	ნიუკასლი	ს	ბრედფორდი 0:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს	ლესტერი 1:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
პირველი დივიზიონი					
კახი ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	შ	სვინდონი 3:0	0	ტრავმა
გერმანია					
ბუნდესლიგა					
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ვოლფსბურგი 1;1	0	ტრავმა
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	ვოლფსბურგი 1:1	90	
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ვოლფსბურგი 1:1	0	ტრავმა
მეორე ბუნდესლიგა					
რევაზ არველაძე	ობერჰაუზენი	შ	ზანკტპაული 2:2	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
ჰოლანდია					
უმაღლესი დივიზიონი					
შოთა არველაძე	აიაქსი	ს	გრაფსხააპი1:1	0	ტრავმა
პირველი დივიზიონი					
არჩილ არველაძე	ბრედა	შ	ეინდჰოვენი 2:0	90	
ბელგია					
უმაღლესი დივიზიონი					
გელა შეყილაძე	ლიერსი	ს	ანტვერპენი 2:1	15	საგოლე პასი
მეორე დივიზიონი					
ლაშა ჯაკობია	ვეზეტი	ს	მაასლანდი 1:3	90	საგოლე პასი
საბერძნეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	შ	პაოკი 1:2	85	შეცვალეს
ისრაელი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დარასელია	ჰაპოელი (ქვარ სავა)	შ	ჰაპოელი (თ) 0:1	90	
გიორგი გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	შ	ბნეი-იეჰუდა 2:0	90	

მერანი

«ბ» ზონა

მეშვიდე ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთავო მერანი

ცუდი დროება უდგას „მერანს“, ძალიან ცუდი. ბევრი რამ შეიცვალა მისი არსებობის ბოლო სამ თვეში. ცოტა ხნის წინ უპატრონოდაც დარჩა, მშიერ-მწყურვალი. შეეძლო, პატრონის გზას გაჰყოლოდა, მაძღარი ყოფილიყო, მაგრამ... ფეხბურთელებმა მეორე გზა ირჩიეს.

ბოლო დროს სკანდალები მოუმრავლდა ქართულ ფეხბურთს. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი „მერანის“ პრეზიდენტის, ნუგზარ ნავაძის ნათქვამ-ნამოქმედარი გახლდათ. ქართულ ფეხბურთში არსებულ ამდენ უმსგავსოებას ვეღარ ვგუობ, სანამ ფედერაციის სათავეში დღევანდელი ხელმძღვანელობა იქნება, აქეთ მომხედავი აღარ ვარო, თქვა და აასრულა ნავაძემ. ფეხბურთელები კი არჩევანის წინაშე დააყენა, თუ ჩემპიონატში აღარ ითამაშებთ, ხელფასს კონტრაქტის ბოლომდე დაუგვიანებლად მიიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელები დამიბანია, რაც გინდათ, ის ქენითო. ეს 16 ნოემბერს ითქვა, როცა პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტური იყო დარჩენილი. ფეხბურთელებმა თამაში არჩიეს. ბარემ ეს ორი ტურიც (თუნდაც გასამრჯელოს გარეშე) ვითამაშოთ, მერე კი ყველამ ჩვენ-ჩვენი გზით გავწიოთო, იფიქრეს. თუმცა, ალბათ, გულის სიღრმეში იმედის პატარა ნაპერწკალი უღვიოდათ, „მერანს“ პირველ ოთხეულში მოხვედრის შანსი იმ დროს ისევ ჰქონდა. მერანელებს შინ რუსთავის „გორდასთვის“ უნდა ემასპინძლათ და ბოლო ტურში გორში „დილას“ სწვეოდნენ, თუმცა სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის წინ „მერანში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გუნდი ერთბაშად რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. გიორგი ლომაია, გელა ქორიძე, გიორგი დავითნიძე, მიხეილ ხუციშვილი კლუბისთვის ძალიან დიდ ძალას წარმოადგენდნენ. თუმცა ახლებიც მოვიდნენ — რეზო ნაჭყეპია, პაატა ლურსმანაშვილი, ლაშა ამბიძე, ოთარ როსტიაშვილი და სხვები.

ტრანსპორტელებს (მაშინ ნავაძე გუნდში იყო) მთავარი მწვრთნელიც შეეცვალათ. ცოდნის გასაღრმავებლად გერმანიაში წასასვლელად გამზადებული სერგო გაბელაია თემურ ჩხაიძემ შეცვალა. ასეთი ცვლილებების მიუხედავად, ხელმძღვანელობამ „ბ“ ზონის ოთხეულში მოხვედრა დაისახა მიზნად. რეალურად „მერანს“ ამის ძალა ნამდვილად შესწევდა, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამ ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ მერანელები აშკარად მოუმზადებელნი იყვნენ. პირველ სამ ტურში გუნდმა ფრედ დაასრულა თავისი შეხვედრები, თანაც სამივე ერთნაირი ანგარიშით — 1:1. ზედიზედ სამ ფრეს კი ორი მარცხი მოჰყვა, მერე ისევ ყაიმი და ექვსი ტურის შემდეგ ოთხი ქულით „მერანი“ ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა.

გურამ დოლაძე-ბაქალის ფოტო

თემურ ჩხაიძე

დანავსული სერია მე-7 ტურში შეწყდა. „მერანმა“ „სინათლის“ სტადიონზე გორის „დილას“ უმასპინძლა და 3:1 მოიგო. სოსო დევიძემ ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა. ამ ფაქტს არ აღვნიშნავდით, ერთი გარემოება რომ არა, დევიძე მთელი კარიერის მანძილზე დაცვის ხაზში თამაშობდა, ჩხაიძემ კი ყველასათვის მოულოდნელად მას ამპლუა შეუცვალა და შემტევ ნახევარმცველად გაამწესა. შეიძლება ითქვას, მწვრთნელს გაუმართლა.

„დილასთან“ მოგებამ კი „მერანი“ მეექვსე საფეხურამდე აღაზევა. ეს იმის შედეგი გახლდათ, რომ „ბ“ ზონაში, „ტორპედოსა“ და ფოთის „კოლხეთის“ გამოკლებით, მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერის გუნდებს მოეყარათ თავი, რომლებიც ურთიერთშეხვედრებში ბევრ ქულას კარგავდნენ. ამიტომ პირველ ოთხეულში მოხვედრის შანსი „მერანს“ კვლავაც ჰქონდა, მით უმეტეს, უშუალო კონკურენტებისთვის უნდა ემასპინძლა.

მეორე წრის პირველი ორი მატჩი „მერანმა“ საკუთარ მინდორზე გამართა — ჯერ სამტრედიის „იბერიასთან“, შემდეგ ხობის „კოლხეთთან“. ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დასრულდა — 0:0. ავჭალელებმა უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგეს, რაც ჩემპიონატის მიწურულს სანანებელი გაუხდათ. თუმცა კიდევ არის ერთი გარემოება.

„იბერიასთან“ მატჩი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. „მერანმა“ მეტოქის კართან ზეწოლა ბოლო წუთებში საგრძნობლად გააძლიერა და ამ დროს ათი კაცით დარჩა მინდორზე. მსჯავმა ყოვლად უმიზეზოდ ლურსმანაშვილი გააძევა. იქნებ „მერანს“ ისედაც ვერ მოეგო, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას — მსჯის ამ შეცდომამ (ეს ფედერაციამაც აღიარა) თამაშის შედეგზე გარკვეული გავლენა იქონია.

„ხობთან“ არბიტრს უხეში შეცდომები არ დაუშვია, თუმცა „მერანმა“ მაინც ვერ მოიგო. უამრავი მომენტის მიუხედავად, მასპინძლებმა გოლი ვერ გაიტანეს და ფრეს დასჯერდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამაც იფიქრა, იფიქრა და გამოსავალს მიაგნო. ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე, ცხვარი დაიკლა. ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი მსხვერპლი შეეწირა. შედეგი? თსუ — „მერანი“ 0:2. დიახ, მერანელებმა ნაყოფი მსხვერპლთშეწირვიდან მეორე დღესვე მოიმკეს. მათ ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოიპოვეს (პირველი სტუმრად) და... მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ, რითაც სანუკვარ ოთხეულში მოხვედრის შანსები გაიზარდეს. მაგრამ ამას მოჰყვა ორი მარცხი („ტორპედოსთან“ და ფოთის „კოლხეთთან“) და გუნდის პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძის ის მოქმედება, თავში რომ ვახსენეთ. ნავაძემ ფეხბურთიდან წასვლა საბოლოოდ ფოთის „კოლხეთთან“ სტუმრად 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ გადაწყვიტა. „მერანმა“ და მისმა პრეზიდენტმა იმ მარცხშიც მსაჯი დაადანაშაულეს. ნუგზარ ნავაძის განცხადების მიუხედავად, გუნდმა ჩემპიონატის გააგრძელა და ბოლოსწინა ტურში შინ რუსთავის „გორდას“ ძლევით მიზნის მიღწევის შესაძლებლობა კვლავ გაუჩნდა.

ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდა. „მერანი“ გორში „დილასთან“ 1:2 დამარცხდა. ამ მატჩის შედეგის გამოცნობა ძნელი არ გახლდათ, რადგან ავჭალელები გორში დათრგუნულნი და ფსიქოლოგიურად გატეხილნი ჩავიდნენ. საქმე ისაა, რომ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე „მერანი“ საქართველოს თასის მატჩის ჩასატარებლად „ცხინვალს“ ესტუმრა, რომელიც საშინაო შეხვედრებს გორში „ქართლის“ სტადიონზე ატარებს. „სტადიონზე მესულმა ხალხმა ისეთ დღეში ჩაგვგდო, ფეხბურთელები მინდვრის დატოვებას და თამაშის ჩაშლას აპირებდნენ. მაყურებლები უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ და გუნდიც ძლივს დავითანხმეთ, მატჩი როგორმე დაესრულებინათ. თუმცა გორელებმა მიზანს მიაღწიეს — „მერანი“ მოშალეს. „დილასთან“ რა მოხდება, არ ვიცი, შეიძლება ცოცხლები ვერც ჩამოვიდეთ“ — ეს „მერანის“ ტექნიკურმა დირექტორმა ანზორ მამალაძემ გადამწყვეტ შეხვედრამდე ორი დღით ადრე გვითხრა. მართალია, გორში აღარაფერი მომხდარა, მაგრამ „მერანი“ უკვე სულიერად დაცემული იყო. წაგებაც არავის გაკვირვებია.

ერთი სიტყვით, „მერანის“ ამ წარუმატებლობაში გარეგანმა ფაქტორებმაც იქონიეს გავლენა. თუმცა მთავარი მიზეზი მაინც ფეხბურთელებშია საძებარი. ფაქტია, დიდი ფხა ვერც მათ გამოიჩინეს. შედეგად კი ჩემპიონატის სტარტზე თუ მისი მსვლელობისას არაერთი ქულა დაკარგეს.

მათგან შედარებით სტაბილურნი გახლდნენ მეკარე რეზო ნაჭყეპია და თავდამსხმელები. ოღონდ ნაჭყეპია სტაბილურად კარგად თამაშობდა, თავდამსხმელები კი — სტაბილურად ცუდად. მოიკოჭლებდა გუნდის ლიდერი, ავჭალელ ქომაგთა კერპი სულიკო დავითაშვილი, რაც ერთობ მოულოდნელი იყო. მან 13 მატჩში მხოლოდ ორი გოლის გატანა შეძლო. ჩვეულად ვერც გუნდში სეზონის წინ მისული მეორე თავდამსხმელი ოთარ როსტიაშვილი გამოიყურებოდა. ნახევარდაცვაში გამთამაშებელი ბახვა ამბიძე სხვებთან შედარებით დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა მან რამდენიმე მატჩი აშკარად ჩაგდო. საერთოდ კი „მერანის“ უმთავრესი ნაკლი საგოლე მომენტების გამოუყენებლობა იყო. არავინ გამოჩნდა ისეთი ვინც მეგოლის ფუნქციას იტვირთებდა.

მიუხედავად იმისა, რომ „მერანი“ უპატრონოდაა მიტოვებული, გუნდმა მეორე ეტაპისთვის ვარჯიში ყველაზე ადრე დაიწყო. კლუბს თემურ ჩხაიძე ამზადებდა, რომელიც ორიოდე დღის წინ „ლოკომოტივის“ ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა თავის თანაშემწედ მიიწვია. ჩხაიძეც სიამოვნებით დათანხმდა. „მერანი“ კი უთავოდ დარჩა, არც პრეზიდენტი, აღარც მწვრთნელი...

დარჩებიან ფეხბურთელები?

ვანო ოძრობირიძე

გადრი ალეთილაძის ფოტო

ავჭალელები მშობლიურ „სინათლეზე“ სტუმარ გორელებს უტევენ

პირველი ეტაპის შედეგები

1	იბერია	1:1	ს დევიძე
2	ხობი	1:1	ს თოლორდავა
3	თსუ	1:1	შ თოლორდავა
4	ტორპედო	1:3	ს თოლორდავა
5	კოლხეთი	1:2	შ ბ. ამბიძე
6	გორდა	0:0	ს
7	დილა	3:1	შ დევიძე 2, დავითაშვილი
8	იბერია	0:0	შ
9	ხობი	0:0	შ
10	თსუ	2:0	ს ბ. ამბიძე, დავითაშვილი
11	ტორპედო	0:1	შ
12	კოლხეთი	0:1	ს
13	გორდა	2:1	შ ბაჯელიძე 2,
14	დილა	2:3	ს ლურსმანაშვილი, ბ. ამბიძე

	თ	გ	ყ	წ
მალხაზ ჭინჭარაული	14	0	1	0
ედიშერ ალადაშვილი	13	0	0	1
სულიკო დავითაშვილი	13	2	1	0
სოსო დევიძე	13	3	3	0
რეზო ნაჭყეპია	13	-15	0	0
გურამ ხარებავა	13	0	2	0
დავით ჯიმკარიანი	13	0	4	0
ბახვა ამბიძე	13	3	0	0
პაატა ლურსმანაშვილი	11	1	0	1
ოთარ როსტიაშვილი	11	0	1	0
ლაშა ამბიძე	10	0	1	0
ლევან ბაჯელიძე	9	2	1	0
ლევან თოლორდავა	9	3	1	0
შალვა ივანიშვილი	8	0	2	0
დავით კარიაული	8	0	0	0
ლაშა ჩხაიძე	5	0	0	0
ზაზა ცქიფურიშვილი	5	0	1	0
ზაზა კოშკაძე	4	0	0	0
ანდრო კოროშინაძე	2	0	0	0



თ - თამაში; გ- გოლი;
ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	14	11	3	0	33:5	28	36	7	5	2	0	18:4	14	17	7	6	1	0	15:1	14	19
2 კოლხეთი	14	8	1	5	19:15	4	25	7	5	1	1	10:3	7	16	7	3	0	4	9:12	-3	9
3 დილა	14	6	2	6	19:24	-5	20	7	4	1	2	11:10	1	13	7	2	1	4	8:14	-6	7
4 იბერია	14	5	3	6	9:20	-11	18	7	4	1	2	7:7	0	13	7	1	2	4	2:13	-11	5
5 გორდა	14	5	1	8	17:18	-1	16	7	4	1	2	13:5	8	13	7	1	0	6	4:13	-9	3
6 თსუ	14	4	4	6	13:18	-5	16	7	3	1	3	9:9	0	10	7	1	3	3	4:9	-5	6
7 მერანი	14	3	6	5	14:15	-1	15	7	2	3	2	7:6	1	9	7	1	3	3	7:9	-2	6
8 ხობი	14	2	4	8	15:24	-9	10	7	1	2	4	9:11	-2	5	7	1	2	4	6:13	-7	5

მეორე ეტაპი						
IX-XVI ადგილები						
9 ლოკომოტივი	0	0	0	0	0:0	9
10 გორდა	0	0	0	0	0:0	8
11 თსუ	0	0	0	0	0:0	8
12 მერანი	0	0	0	0	0:0	8
13 თბილისი	0	0	0	0	0:0	7
14 სამგურალი	0	0	0	0	0:0	6
15 ხობი	0	0	0	0	0:0	5
16 არსენალი	0	0	0	0	0:0	5

კითხვები და პასუხები

№5

ილია ჭრიჭაძილი

გთხოვთ, წარმოადგინოთ საბუთები

47 ხელმოწერა... ქართული ფეხბურთის თანავარსკვლავედი მოითხოვს — გაუქმდეს დამფუძნებელი ყრილობის ყველა გადაწყვეტილება.

მოითხოვს მტკიცედ და კატეგორიულად!

მოდი და ყურს ნუ მიუგდებ ამ პატივცემული ხალხის მოსაზრებებს. საზოგადოებას გულისტკივილიც გაუზიარეს და ამასთან ერთად ყრილობის ორგანიზატორებს („ფეხბურთის სამმართველოს ზოგიერთ მუშაკს") სერიოზული ბრალდებებიც წაუყენეს.

ბრალდებულებმა კი იქით შეუტიეს: საბუთები წარმოადგინონ და ჩვენი ბრალეულობა დაამტკიცონ, თორემ ცილისწამებისთვის პასუხი მოეკითხებათო. სხვაც მოაყოლეს: თუ ჩვენ ქვეყნის დამაქცევრები ვართ, ყრილობაზე რატომ ხმა არ ამოიღეს, რატომ იქ არ ატეხეს განგაში და დელეგატის უფლებამოსილება საჯაროდ არ მოიხსნესო. და კიდევ — მათი საქციელი ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას გვაგონებსო.

„მუშტის ქნევა" ასე არ უნდაო და, იმავე დღეს ეროვნული ჩემპიონატის მომხრეთა ლაშქარი მოადგა გამომცემლობა-რედაქციების შენობას მაშინდელ ლენინის თოთხმეტში: თუ ყრილობის გადაწყვეტილება არ შესრულდება, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო.

სახელდახელო საპროტესტო შეკრებები ქალაქის სხვა უბნებშიც გაიმართა.

დაპირისპირებული მხარეები 21 თებერვალს დაზავდნენ.

ვიდრე ამ ამბის დეტალებს გაგაცნობდეთ, ნოდარ ახალკაცის ზემოთ ნახსენებ პრესკონფერენციაზე შევიხედოთ.

პრესკონფერენცია

კითხვა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ფეხბურთის გულშემატკივრებს აინტერესებთ თქვენი, როგორც ფედერაციის პრეზიდენტის, პოზიცია. სურთ გაიგონ, რა არგუმენტები იყო ამგვარი რადიკალური ნაბიჯისათვის.

ნოდარ ახალკაცი: ჩემი პოზიცია მეტ-ნაკლებად ყრილობაზე გამოსვლისას ჩამოვაყალიბე და, თუ საჭიროა, ერთ-ორ სიტყვას აქაც ვიტყვი. კაცი ნაჩქარევად, ფაციფუცით საქმის გაკეთებას უნდა ერიდებოდეს. ჩემი აზრით, ყრილობა გაცილებით ადრე, ნოემბერ-დეკემბერში უნდა გამართულიყო და ამისთვის საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის შემზადება. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ამან კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. მე ასე ვფიქრობ: რაკი ფაქტი მოხდა, ყრილობა გაიმართა და გადაწყვეტილებაც მიიღო, ფედერაციის პრეზიდენტს ისღა დარჩენია, დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას და იზრუნოს მისი ხორცშესხმისათვის. ყრილობაზე ფაქტობრივად ორი პოზიცია გამოიკვეთა: ერთნი საკავშირო ტურნირებიდან დაუყოვნებელ გამოსვლას მოითხოვდნენ, მეორენი უფრო კომპრომისულ, ეტაპობრივ ვარიანტს ამჯობინებდნენ. კენჭისყრამ დაადასტურა, რომ უმრავლესობა პირველ აზრს მიემხრო. კაცმა რომ თქვას, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გეყოს სითამამე და გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯი. მე ამ ყრილობაზე ერთი რიგითი დელეგატი ვიყავი, ერთი მანდატი მქონდა... ფედერაციას რესპუბლიკის მთავრობაში რეგისტრაცია არ გაუვლია და, ცხადია, ჯერჯერობით იურიდიული პირის უფლებით ვერ სარგებლობს. ახლა ვამზადებთ დოკუმენტებს მთავრობაში წარსადგენად. ყრილობამ, როგორც იცით, მიიღო რეზოლუცია, რომლის რუსულ ვარიანტს საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს ვუგზავნით... ახლა თქვენი კითხვის მეორე ნაწილზე გიპასუხებთ. თუ ჩვენი მიზანი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებაა, რაღა აზრი აქვს მოცდას, რატომ უნდა გადაგვედო ეს საქმე ერთი წლით ან მეტი დროით. აქ ალტერნატივა არ არსებობს. თუ ფიფაში შესვლა გსურს, საკავშირო ფედერაციაზე უარი უნდა თქვა. მინდა აღვნიშნო, რომ ფიფა ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური და სტაბილური საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციაა და იქ შეღწევა იოლი არ არის. დიდი ბრძოლა მოგველის. ჩვენ იზოლაციას არ ვაპირებთ. პირიქით, ფედერაციის მიზანია კონტაქტების კიდევ უფრო გაფართოება, ოღონდ ყველა ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე აიგება. როცა ეროვნულ ჩემპიონატს ისე გავმართავთ, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, საქართველოში საფეხბურთო ცხოვრება უეჭველად გამოცოცხლდება. ნამდვილი საქმე გამოუჩნდებათ მწვრთნელებს, ადგილებზე დაინტერესდებიან ფეხბურთის მატერიალური ბაზის გაფართოებით, უფრო კვალიფიციური გახდება მსაჯთა კორპუსი, ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელებს კი პატრონი გამოუჩნდებათ. მეტი დრო და საშუალება იქნება ნამდვილი, პროფესიული ვარჯიშისათვის. საკავშირო ჩემპიონატის გუნდებს მძიმე ტვირთად აწევთ გაუთავებელი მოგზაურობა უკიდეგანო ქვეყნის ერთი ქალაქიდან მეორეში. მწვრთნელს გუნდთან პრაქტიკული მუშაობისთვის ძალზე ცოტა დრო რჩება, ამას გარდა, შორი მგზავრობა დიდ ხარჯსაც მოითხოვს.

კითხვა: როდის ვარაუდობთ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას და რამდენმა გუნდმა უნდა ითამაშოს მთავარ ლიგაში? ფეხბურთის სამმართველოზე რას იტყვით?

ნოდარ ახალკაცი: პრეზიდიუმმა, რეზოლუციის თანახმად, 10 მარტისთვის უნდა წარმოადგინოს ეროვნული ჩემპიონატის დებულების და კალენდრის პროექტი. სასურველია, ჩემპიონატი აპრილში დაიწყოს. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს გეტყვით, პრეზიდიუმის ყველა წევრს თავისი აზრი აქვს (სხვათა შორის, პრეზიდიუმი მთლიანად არც აგვირჩევია) და ჩვენ კოლეგიურად გადავწყვეტთ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხს. მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში თვრამეტი გუნდი უნდა თამაშობდეს. სხვას, ალბათ, სხვა მოსაზრება ექნება. რაც შეეხება ფეხბურთის სამმართველოს, ალბათ, უნდა გაუქმდეს. ქართული ფეხბურთზე მთელ პასუხისმგებლობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იკისრებს".

ნოდარ ახალკაცი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ახალკაცის პრესკონფერენციის ეს ანგარიში, დაგვიანებით და „შეკრეჭილად", 21 თებერვალს „კომუნისტში" გამოქვეყნდა.

იმავე დღეს გაზეთ „შანსში" დაიბეჭდა ჩემი სხვა წერილიც — „მოვიახლოვოთ მომავალი", რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

მოვიახლოვოთ მომავალი

„ქართულ ფეხბურთში შექმნილი ვითარება, სამწუხაროდ, სცილდება სპორტული მოედნის ფარგლებს და სხვა ელფერი დაჰკრავს. ამ თამაშს „სხვა სუნი" ასდის და კაცმა არ იცის, რით დასრულდება... თუ აზრის სიმაღლეს შევინარჩუნებთ, იქნებ შედარებით იოლად გადავრჩეთ და მტერი არ გავაცინოთ. თუმცა, მტერი უკვე იცინის და მიხეზიც აქვს— ქართველები ერთმანეთს დავერიეთ.

სამწუხაროა: ერთ საქმეს შეჭიდებულნი, ერთ ენაზე ვსაუბრობთ და ხანდახან ერთმანეთისა არ გვესმის. იმიტომ ხომ არა, რომ ერომანეთის მოსმენასაც გადავეჩვიეთ და სიმართლის თქმასაც?

დღეს მე სიმართლის თქმას ვაპირებ და ოპონენტებს ყურადღებას ვთხოვ.

უკვე მთელმა საქართველომ და ბევრმა სხვამ იცის: 1990 წლის 15 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ საქართველოს ფედერაცია დამოუკიდებელ ორგანიზაციად გამოაცხადა. ამავე ყრილობამ დაადგინა — საქართველოს ყველა გუნდმა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშოს (მეორე გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, პირველისგან გამომდინარეობს. ფედერაცია დამოუკიდებელი ვერ იქნება, თუ მისი საუკეთესო გუნდები სხვა ფედერაციის ჩემპიონატში გამოდიან).

... ყრილობაზე დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეროვნულ ჩემპიონატს დაუჭირა მხარი.

საზოგადოებრიობას, ცხადია, აინტერესებს: რატომ, რა მოსაზრებითა და არგუმენტებით?

ბევრი რამ ყრილობის ტრიბუნიდან [illegible] დარჩა.

უწინარესად, პასუხგაუცემელია შენიშვნები „სპორტულ სეპარატიზმის" და „იზოლაციონალიზმის" თაობაზე.

ა) დავიწყოთ „სპორტული სეპარატიზმით".

ქართული ფეხბურთის სუვერენიტეტის გამოცხადება პასუხობს საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის მოთხოვნებს. კონცეფცია ითვალისწინებს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, მაშასადამე, სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის დამოუკიდებლობასაც. კონცეფციაში ნათქვამია: „რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფციას საუძვლად უდევს თავისუფლებისაკენ მისწრაფებაში გამოხატული ერის თვითშეგნება და თავის უმაღლეს მიზნად და ამოცანად ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვითგამორკვევის უზრუნველყოფა მიაჩნია".

„თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ სკკპ პლატფორმაში წერია: „სსრ კავშირში შესვლით რესპუბლიკებმა ცენტრალურ გამგებლობაში გადასცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განხორციელება, ამავე დროს მათ უნარჩუნდებათ სუვერენიტეტის ისეთი ხელშეუკარელი ნიშანი, როგორიცაა უფლება, ჰქონდეთ ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან".

ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებია ფიფა და უეფა. თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი არ იქნება და ეროვნულ ჩემპიონატს არ გამართავს, ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობას ვერ დაამყარებს. მაშასადამე, ქართული ფეხბურთის სუვერენიტეტის გამოცხადებით ჩვენ ვასრულებთ სკკპ პლატფორმის დებულებას.

ბ) „საფეხბურთო იზოლაციის" თაობაზე.

დამოუკიდებელი ფედერაციის აღიარება გულისხმობს თვისებრივად ახალ სტატუსს, თანასწორუფლებიან ურთიერთობას საკავშირო ფეხბურთის ფედერაციასთან. ახალდაფუძნებული ფედერაციის წესდებაში ჩაწერილია, რომ ფედერაცია „საქმიან ურთიერთობას ამყარებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საფეხბურთო ფედერაციებთან, კლუბებთან, სხვადასხვა საფეხბურთო ორგანიზაციებთან"

ეს ნიშნავს ასპარეზის გაფართოებას და არა იზოლაციას.

გ) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საფეხბურთო ფედერაცია.

ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებას (1989 წლის 6 ოქტომბერი). საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის დაწინაურება უშუალოდ უკავშირდება ცალკეულ სპორტულ ფედერაციათა დამოუკიდებლობას. სეოკი აღიარებს მხოლოდ დამოუკიდებელ ფედერაციებს. ფეხბურთის დამოუკიდებლობით ვამყარებთ ჩვენსავე ოლიმპიურ პოზიციებს.

დ) ფინანსური მომენტი.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია კაპიკს არ უხდის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს. პირიქით — საწევროს ახდევინებს. ცალკეა დასათვლელი უზარმაზარი ქვეყნის ქალაქიდან ქალაქში მგზავრობისთვის აუცილებელი ხარჯები. ეროვნული ჩემპიონატით დავზოგავთ მანეთებს, მომავალში — ვალუტასაც. საზღვარგარეთ მიწვეული ჩვენი ფეხბურთელების (მათ უკვე იწვევენ) სატრანსფერო თანხა შეემატება ჩვენივე კლუბების და ფედერაციის ხაზინას.

ე) თბილისის „დინამო" და დანარჩენები

თბილისის „დინამომ" ქართულ ფეხბურთს არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა, ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა, მაგრამ ახალი დრო მოვიდა და ბევრ რამეს ახლებურად უნდა შევხედოთ. მაგალითად იმას, რომ ხვალ-ზეგ თბილისის „დინამოს" ადგილი შეიძლება, ვთქვათ, ქუთაისის „ტორპედომ" ან კიდევ — ტყიბულის „მეშახტემ" დაიკავოს... ასეთი შეიძლება გამოდგეს შედეგი იმ ნაბიჯისა, რომელსაც ჩვენ ახლა ასე გაუბედავად ვდგამთ და, რაც უნდა ვთქვიოთ ფეხი, მაინც უნდა გადავდგათ... აქამდე ქართული ფეხბურთის ინტერესები ერთ გუნდში იყო თავმოყრილი და ეს იძულებითი, მაშასადამე, არაბუნებრივი გზა გახლდათ. ამიერიდან ქართულმა ფეხბურთმა ახალი გზით უნდა იაროს.

ფეხბურთის სპეციალისტები, საქმეში ჩემზე ღრმად და საფუძვლიანად ჩახედულნი, ათას საბუთს მოიტანენ იმის დასამტკიცებლად, რომ დამოუკიდებელი ფედერაცია სჯობს სხვაზე დამოკიდებულს, ქართული ფეხბურთის სამსახური — რუსულის სამსახურს... თუ ყრილობას გუშინდელი ნაბიჯი შეცდომად ჩაეთვლება, ასჯერ დიდი შეცდომა იქნება კომპრომისი და უკანდახევა".

სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელების ჩაის სახლში გამართული ეს შეხვედრა მთლიანად ფეხბურთს მიეძღვნა

ალექსანდრე კიტიჩაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ამერიკა

მერკოსურის თასი

ფინალი. საპასუხო მატჩი

პალმეირასი (ბრაზილია) 3:3 ფლამენგო (ბრაზილია) (3:4)

1:0 არსე (21პ), 1:1 კაიო (48), 1:2 როდრიგო მენდესი (58), 2:2 არსე (59), 3:2 პაულო ნუნეში (65), 3:3 ლე (83)

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ჟუნიორ ბაიანო, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, ედმილსონი, ალექსი, ზინინ, პაულო ნუნეში (როჟერიო), ეულერი (ოსეასი), ასპრილია

ფლამენგო: კლემერი, მაურინიო, სელიო სილვა, ჟუანი, ატირსონი, ლეანდრო ავილა, როდრიგო მენდესი (ლე), კაიო, ლეანდრო ინასიო, ლეანდრო მაჩადო, რეინალდო

გაფრთხილება: ლეანდრო მაჩადო, ჟუნიორ ბაიანო, მაურინიო, ლეანდრო ავილა, სეზარ სამპაიო, ატირსონი

მსაჯი: ლუჩანო დე ალმეიდა (არგენტინა)

REUTERS სან პაულოდან

ბრაზილიური „ფლამენგო“ მერკოსურის თასის მოპოვებას ზეიმობს

თასის გათამაშება თავისი არსებობის მეორე წელს ითვლის. თასის პირველი მფლობელი „პალმეირასი“ კვლავ ფინალში გავიდა, სადაც ასევე ბრაზილიურ „ფლამენგოს“ დაუპირისპირდა. პირველი მატჩი, რომელიც რიო დე ჟანეიროში გაიმართა, „ფლამენგომ“ 4:3 მოიგო. საპასუხო შეხვედრაში პალმეირასელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. ამ შემთხვევაში გადათამაშება დაინიშნებოდა, რადგან სამხრეთ ამერიკაში ბურთების შეფარდებას ყურადღება არ ექცევა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. ანგარიში ფრანსისკო არსემ თერთმეტმეტრიანით გახსნა და ტაიმიც „პალმეირასმა“ ერთბურთიანი უპირატესობით მოიგო. შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ. სანპაულელ გულშემატკივართა ყურისწამღებმა ყიჟინამ ისინი არ შეაშინა და ათი წუთის ინტერვალით კაიომ და როდრიგო მენდესმა „პალმეირასის“ კარში ორი გოლი შეაგდეს. მასპინძლებმა წონასწორობა დაუყოვნებლივ აღადგინეს. თავი ამჯერადაც არსემ ისახელა. მან საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა. შემდეგ პაულო ნუნეშმა მესამეც გაიტანა და „პალმეირასი“ დაწინაურდა. ეს ანგარიში მასპინძლებს ხელს აძლევდათ, თან შეხვედრის დასრულებამდე ძალიან მცირე დრო რჩებოდა. ამიტომ პალმეირასელთა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ ფაუსტინო ასპრილიას უკანდაწეული ნახევარმცველის პოზიციის დაკავება მოსთხოვა. ამ გადაადგილებამ „პალმეირასს“ ვერ უშველა. 83-ე წუთზე „ფლამენგოს“ რიგებში შეცვლაზე შემოსულმა ლემ ანგარიში გაათანაბრა. ყმაწვილმა ფეხბურთელმა, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჯერ არ ანდობენ, მატჩის ბედი გადაწყვიტა. სკოლარის ბიჭებს კიდევ ერთი გოლის შესაგდებად დრო აღარ დარჩათ.

მერკოსურის თასმა სან პაულოდან რიო დე ჟანეიროში გადაინაცვლა. „ფლამენგოსთვის“ ეს გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ პოპულარულ კლუბს 1981 წლის შემდეგ აღარაფერი მოუგია. საინტერესოა, რომ ერთი თვის წინ გუნდიდან ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი რომარიო სკანდალურად გაუშვეს. ლიდერის გარეშე დარჩენილ ფლამენგოელებს გამარჯვებისადმი სწრაფვა არ დაუკარგავთ და ჯილდოც დამსახურებულად მოიპოვეს.

ბრაზილიაში, როგორც წესი, არც ერთი პრინციპული მატჩი მუშტების ქნევის გარეშე არ მთავრდება. ამჯერადაც ასე მოხდა. კოლუმბიელმა ასპრილიამ მოწინააღმდეგეს სახეში იდაყვი უთავაზა, თუმცა დაუსჯელი დარჩა — არბიტრ ლუჩანო დე ალმეიდას ეს არ დაუნახავს. სამაგიეროდ, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჟუნიორ ბაიანოს უღირსი საქციელი და ის ყვითელი ბარათიც დაისაჯა.

დაბოლოს, მერკოსურის თასმა ვერა დე ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება. ზოგიერთი მწვრთნელი ამ ტურნირს სათადარიგო ფეხბურთელების გამოსაცდელად იყენებს.

ბრაზილია

ფინალი. საპასუხო მატჩი

კორინთიანსი 2:0 ატლეტიკო მინ. (2:3)

საპასუხო მატჩმა ბრაზილიის ჩემპიონი ვერ გამოავლინა. ორი შეხვედრის შემდეგ ფინალისტებს თითო მოგება აქვთ. ჩემპიონის ვინაობას მესამე თამაში გაარკვევს. თუ იგი ფრედ დასრულდა, მაშინ ბურთების შეფარდებას დაითვლიან.

საპასუხო შეხვედრას კი თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ანტიფეხბურთი. „ბინძური და ცინიკური“ — ასე შეაფასეს მატჩი თავად ბრაზილიელებმა. კორინთიანსელმა თავდამსხმელმა ლუიზიომ, რომელიც ორივე გოლის ავტორია, 90-ე წუთზე მეტოქეს ბუცი მუხლში გამეტებით უთავაზა, რისთვისაც გააძევეს კიდეც. თუმცა იქამდე კარგა ბლომად არასფეხბურთო ამბები მოხდა, რაზეც მსაჯის სასტვენი ჯიუტად დუმდა. მაგალითად, შეხვედრის დებიუტშივე მასპინძელთა მცველმა ჟოაო კარლოსმა ატლეტიკოელ რობერტოს უკნიდან დაუნდობლად დაარტყა. არბიტრმა ყველაფერი დაინახა, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა. იყო ფურთხება და ხელით თამაშიც.

მსაჯთა წარმოუდგენელ არაკომპეტენტურობას ბრაზილიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც ამბობენ, ბევრმა მათგანმა თამაშის წესები ზუსტად არ იცის. სტატისტიკა სავალალო ფაქტებს ამზეურებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც არბიტრი ერთ შეხვედრაში 60 შეცდომას უშვებს. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ გაუთავებელი ლაპარაკის მიუხედავად, უკეთესობა არ იგრძნობა.

კიდევ ერთი უცნაურობის შესახებ. პარადოქსია, მაგრამ ლუიზიოს წითელი ბარათის მიღება ხელს აძლევდა კიდეც. ყოფილ დეპორტივოელს ამ მატჩის პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი უჩვენეს. მიმდინარე სეზონში ეს მისი მეხუთე გაფრთხილება იყო. ბრაზილიური წესებით, ხუთჯერ გაფრთხილებული ფეხბურთელი მომდევნო შეხვედრას ავტომატურად ტოვებს. თუ ფეხბურთელი ერთ თამაშში ჯერ ყვითელ ბარათს იღებს და შემდეგ აძევებენ, მაშინ ყვითელი ბარათი უქმდება. ახლა ლუიზიოს ოთხი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი აქვს. იმავე წესების მიხედვით, გაძევებულ ფეხბურთელს მომდევნო თამაშის ავტომატურად გამოტოვება არ უხდება. ვარაუდობენ, რომ ლუიზიომ წითელი ბარათი საგანგებოდ „აიკიდა“, გადამწყვეტ მატჩში რომ ეთამაშა. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინანდელ ფინალში ასეთივე ხრიკს ედმუნდომ მიმართა. მატჩის შემდეგ „ატლეტიკოს“ მწვრთნელმა უმბერტო რამოსმა დაადასტურა, რომ ლუიზიომ მეტოქე შეგნებულად დაამტვრია. მან თქვა: „როდესაც ლუიზიო მოედანს ტოვებდა, მან ჩვენს მეკარეს უთხრა, თუ რატომ ჩაიდინა ეს საქციელი. და საერთოდ, კორინთიანსელები უნამუსოები არიან. მატჩის მოსაგებად ისინი ყველანაირ სიბინძურეს კადრულობენ“. „კორინთიანსის“ თავკაცმა ოსვალდო დე ოლივეირამ ეს ბრალდება უარყო, თუმცა იქვე დაამატა, გადაწყვეტ ბრძოლაში ლუიზიო დიდად დაგვეხმარებაო.

თავისი აზრი გამოთქვა ბრაზილიაში უპოპულარესმა ტელეკომენტატორმა მილტონ ნევესმა. „თუ ლუიზიო მკაცრად არ დასაჯეს და „კორინთიანსი“ ჩემპიონი გახდა, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ამ ფაქტის აღიარებაზე. მე ასე მოვიქეცი ორი წლის წინათ, როდესაც ედმუნდო უსინდისოდ მოიქცა და „ვასკუ და გამა“ ჩემპიონი გახდა“ — განაცხადა ნევესმა.

REUTERS სან პაულოდან

„კორინთიანსის“ ჟოაო კარლოსი (მარჯვნივ) და ატლეტიკოელი კაკაპავა ბურთისთვის იბრძვიან

პერუ

ფინალი. საპასუხო მატჩი

ალიანსა 1:0 უნივერსიტარიო (0:3)

1:0 მაფლა (39)

ფინალის საპასუხო მატჩის გამართვა კვირას იყო დაგეგმილი, მაგრამ ერთი დღით გადაიდო. შეხვედრის წინ აღმოჩნდა, რომ სტუმართა გულშემატკივრებისთვის განკუთვნილი სექტორის ბილეთების ნაწილი „ალიანსას“ ქომაგებს ჩაეგდოთ ხელში. ისინი იმთავითვე იმუქრებოდნენ, თუ „უნივერსიტარიო“ ჩემპიონი გახდა, მოედნის გარშემო საპატიო წრის შემოვლის უფლებას არ მივცემთო. უსაფრთხოებისთვის ზომების მისაღებად მატჩი გადაიდო.

როგორც პრინციპულ თამაშებს სჩვევია, ეს მატჩიც დაძაბული და უხეში გამოდგა. ამას ისიც მოწმობს, რომ არბიტრს სამი ფეხბურთელის გაძევება მოუხდა. წითელი ბარათები სტუმრათაგან გუსტავო გრონდონამ, ხოლო მასპინძელთაგან ჯონ ჰინოსტროცამ და სანდრო ბაილნმა მიიღეს.

საბოლოოდ, კოლუმბიელი ვიქტორ მიკლას ერთადერთი გოლით „ალიანსამ“ მოიგო. ორი მატჩის ჯამში ბურთების უკეთესი შეფარდების გამო ჩემპიონი „უნივერსიტარიო“ გახდა. ეს გუნდი შარშანაც პირველობდა და პერუს ჩემპიონობა ოცდამესამედ მოიპოვა.

კოლუმბია

ფინალი. II მატჩი

ატლეტიკო ნასიონალი 0:0

(პენ. 4:2) ამერიკა (1:1)

ჩემპიონობა „ატლეტიკომ“ მოიპოვა. ფინალის ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. მეტოქის მოედანზე გატანილ გოლს ყურადღება არ ექცევა, ამიტომ საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. აღსანიშნავია, რომ კოლუმბიის ჩემპიონატების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩემპიონის ვინაობა საფეხბურთო ლატარამ გაარკვია. თავად მატჩი უინტერესო გამოდგა. შესაძლებელი იყო, თითოეული შეცდომა საბედისწერო გამხდარიყო, ამიტომ ფეხბურთელები ფრთხილობდნენ. პენალტების შესრულება კი მასპინძლებმა უკეთ შეძლეს.

ბოლივია

ფინალი. II მატჩი

ბლუმინგი 3:2 სტრონგესტი (3:2)

„ბლუმინგმა“ მეტოქე ორივე შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით დაამარცხა და ბოლივიის ჩემპიონი გახდა. გამარჯვებულთაგან გოლები ვიქტორ ჰუგო ანტელომ, ლიმბერგ გუტიერასმა და მარტინ მარაჩომ შეაგდეს. ანტელო ბოლივიის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. სამივე გოლი მასპინძლებმა პირველ ტაიმში გაიტანეს და შესვენების შემდეგ სტრონგესტელებს თავისუფლად თამაშის საშუალება მისცეს. სტუმრებმა მხოლოდ ორი ბურთის გაქვითვა შეძლეს. აღსანიშნავია, რომ „სტრონგესტს“ საქვეყნოდ ცნობილი არგენტინელი მარიო კემპესი ავარჯიშებს.

ეკვადორი

ფინალი. საპასუხო მატჩი

ლიგა დე კიტო 3:1 ელ ნასიონალი (1:0)

„ლიგა“ ეკვადორის ჩემპიონი გახდა. გუნდმა ორივე შეხვედრაში დაჯაბნა ადგილობრივ სამხედროთა გუნდი „ელ ნასიონალი“. ლიგელები გამარჯვებას განსაკუთრებით ედუარდო ურტადოს უნდა უმადლოდენ. ეკვადორის ნაკრების წევრმა პირველ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა, საპასუხოში ორჯერ იხეირა. კიდევ ერთი გოლი არგენტინელი ეზეკელ მაგიოლოს ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ ურტადო ამერიკულ საფეხბურთო ლიგაში თამაშობდა და გუნდს მხოლოდ სეზონის მიწურულს შეუერთდა. „ლიგამ“ კი ეკვადორის ჩემპიონობა მეექვსედ მოიპოვა.

კოსტა რიკა

ამჟამინდელმა ჩემპიონმა „ალაჯუელენსემ“ საშემოდგომო ჩემპიონატის მორიგ ტურში 3:2 მოუგო „სანტა ბარბარას“ და პირველობა ვადამდე ადრე გაინაღდა. მეორეადგილოსანი „საპრეს“ მას ველარ ეწევა. გამარჯვებულთაგან ორი გოლი ფილმერ ლოპესის ანგარიშზეა, ერთიც ლუის დიეგო არანსმა შეაგდო.

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

მექსიკა

ფინალი. II მატჩი

კრუზ ასული 0:1 დ.დ.(0:0) პაჩუკა (2:2)

0:1 გლარია (92)

მექსიკაში ჩემპიონატის პირველი ეტაპი — „ინვიენტო“ დასრულდა (სხვა ლათინოამერიკულ ქვეყნებში მას „აპერტურას“ უწოდებენ). ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული „პაჩუკა“ გახდა. საპასუხო შეხვედრის ძირითადი დრო, პირველის მსგავსად, ფრედ დამთავრდა. მექსიკური წესებით, ბურთების შეფარდებას ყურადღება არ ექცევა და თამაში დამატებით დროში „ოქროს გოლამდე“ გრძელდება. სტადიონზე თავმოყრილ გულშემატკივრებს დიდხანს ლოდინი არ მოუხდათ. დამატებითი ტაიმის მეორე წუთზე არგენტინელი ალეხანდრო გლარიას გოლმა გამარჯვება სტუმრებს მოუტანა.

„პაჩუკას“ ასეთი წარმატებისთვის 1970 წლის შემდეგ არ მიუღწევია. საინტერესოა, რომ ეს გუნდი მექსიკაში უძველესია და ინგლისელი მეშახტეების მიერ არის დაარსებული.



REUTERS მეხიკოდან

„კრუზ ასულის“ მორენო „პაჩუკას“ კაბალიეროს გადაეღობა

არგენტინა

ბოლო, XIX ტური. სან ლორენსო — რივერ პლეიტი 2:2; ბოკა ხუნიორსი — ტალერესი 0:0; როსარიო სენტრალი — ველეს სარსფილდი 1:0; ესტუდიანტესი — ლანუსი 3:2; კოლონი — არგენტინოს ხუნიორსი 1:2; რასინგი — ნიმნასია ლა პლატა 3:1; ფერო კარილი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:4; ჩაკარიტა — უნიონი 1:1; ბელგრანო — ინდეპენდიენტე 2:3; ინსტიტუტო — ნიმნასია ხუხუი 3:1

ჩემპიონატის პირველი ეტაპი — „აპერტურა“ დასრულდა. ბოლო ტურის წინ ჩემპიონობისთვის სამი გუნდი იბრძოდა. მათგან მეტი შანსი „რივერ პლეიტს“ ჰქონდა. „ბოკა ხუნიორსი“ და „როსარიო“ ლიდერს სამი ქულით ჩამორჩებოდნენ. „რივერს“ პირველობისთვის ერთი ქულაც ჰყოფნიდა.

მის მეტოქეებს კი აუცილებლად უნდა მოეგოთ და „რივერის“ წაგების იმედი ჰქონოდათ. ქულათა თანაბარობის შემთხვევაში ბურთების შეფარდებას ყურადღება არ ექცევა და გადათამაშება ინიშნება. „რივერ პლეიტმა“ საქმე აქამდე არ მიიყვანა — „სან ლორენსოს“ სტუმრად ქულა აართვა და ჩემპიონი გახდა. დედაქალაქელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და გილიერმო პირეირას და ხავიერ სავიოლას გოლებით ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს.

ამგვარი თანაფარდობა მე-80 წუთამდე გაგრძელდა. შეხვედრის მიწურულს „რივერი“ მოეშვა. მათ ჩემპიონებად დაიგულეს თავი და კინალამ დაისაჯნენ. ბოლო ათ წუთში ბერნარდო რომეომ ორი გოლი შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა. მეტის გაკეთება „სან ლორენსომ“, რომელსაც არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ოსკარ რუჯერი წვრთნის, ვერ შესძლო. ამ მატჩს დაძაბულობაც ახლდა. სან ლორენსოელთა გულშემატკივრებმა თამაშის დაწყებამდე რივერელთა გაფრთხილება დაიწყეს, ჩემპიონები თუ გახდით, მატჩის შემდეგ სტადიონის გარშემო საპატიო წრის შემოვლა არ გაბედოთო. ამან ბუენოს აირესიდან ჩასული ქომაგები გააღიზიანა, მაგრამ საქმე სერიოზულ გართულებამდე არ მისულა. შეხვედრა 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. თუმცა ბოლო ტურის ერთი მატჩი მაინც ჩაიშალა. ბელგრანოში „ინდეპენდიენტე“ 81-ე წუთისთვის მასპინძლებს 3:2 უგებდა.

ამ დროს ტრიბუნებზე ომი გაჩაღდა და მინდორზე მაშხალებიც ბლომად ისროლეს. მსაჯი იძულებული გახდა, გასახდელისკენ გასულიყო. თუმცა ანგარიში მაინც ძალაში დარჩა.

რაკი „რივერ პლეიტმა“ ქულა მოიპოვა, „ბოკა ხუნიორსისა“ და „როსარიოსთვის“ მატჩების ჩამთავრება ფორმალურობადღა იქცა. „როსარიომ“ ჩილავერტის „ველეს სარსფილდს“ 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი მასიმილიანო კუშერასმა გაიტანა. „ბოკამ“ და ტალერესმა“ 0:0 ითამაშეს. საბოლოოდ მეორე ადგილი „როსარიომ“ დაიკავა, „ბოკა ხუნიორსი“ მესამეა.

არგენტინული წესებით, „აპერტურას“ და „კლაუსურას“ გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში ხვდებიან და ქვეყნის ჩემპიონის ვინაობას ავლენენ. წინა სეზონში ფინალის გამართვა საჭირო არ გახდა. „რივერ პლეიტმა“ მაშინ ორივე ტურნირი მოიგო და უდავო ჩემპიონობა მოიპოვა. წლეულს, „რივერს“ ცოტათი უჭირს. მისი ლიდერი და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მარტინ პალერმო მძიმედ დაშავდა. თუმცა პალერმოს არყოფნაში გუნდს ახალი ლიდერი მოევლინა. 18 წლის ხავიერ სავიოლას ამომავალ ვარსკვლავს უწოდებენ. ეს ფეხბურთელი 15 გატანილი გოლით ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა.

რივერ პლეიტი	19	13	5	1	45:21	44
როსარიო	19	14	1	4	34:18	43
ბოკა	19	12	5	2	36:15	41
სან ლორენსო	19	10	6	3	30:15	36
ტალერესი	19	9	4	6	38:31	31
რასინგი	19	7	9	3	27:22	30
ველესი	18	8	5	5	26:15	29
ინდეპენდიენტე	19	6	7	6	19:21	25
ჩაკარიტა	18	6	6	6	36:31	24
ესტუდიანტესი	19	6	5	8	29:33	23
ლანუსი	19	7	2	10	23:30	23
ინსტიტუტო	19	5	7	7	23:30	22
ლა პლატა	19	4	9	6	28:28	21
ოლდ ბოიზი	19	5	6	8	27:27	21
არგ. ხუნიორსი	19	4	9	6	20:22	21
უნიონი	19	5	6	8	24:30	21
ბელგრანო	19	5	5	9	25:37	20
კოლონი	19	5	4	10	20:28	19
ხუხუი	19	2	3	14	17:43	9
კარილი	19	1	6	12	14:44	9

REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინის ახალი ჩემპიონი „რივერ პლეიტი“ სიხარულისგან ყირაზე დადგა

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი სამხრეთ ამერიკა. კალენდარი

არგენტინა; ბოლივია; ბრაზილია; ეკვადორი; კოლუმბია; ჩილე; ვენესუელა; პარაგვაი; პერუ; ურუგვაი

I ტური 28.03.2000	მონტევიდეო	ურუგვაი — ბოლივია
	ბოგოტა	კოლუმბია — ბრაზილია
	ლიმა	პერუ — პარაგვაი
	ბუენოს აირესი	არგენტინა — ჩილე
	კიტო	ეკვადორი — ვენესუელა
II ტური 25.04.2000	ვენესუელა	ვენესუელა — არგენტინა
	ბრაზილია	ბრაზილია — ეკვადორი
	ასუნსიონი	პარაგვაი — ურუგვაი
	სანტიაგო	ჩილე — პერუ
	ლაპასი	ბოლივია — კოლუმბია
III ტური 03.06.2000	ლიმა	პერუ — ბრაზილია
	ბუენოს აირესი	არგენტინა — ბოლივია
	ასუნსიონი	პარაგვაი — ეკვადორი
	მონტევიდეო	ურუგვაი — ჩილე
	ბოგოტა	კოლუმბია — ვენესუელა
IV ტური 28.06.2000	ბრაზილია	ბრაზილია — ურუგვაი
	ბოგოტა	კოლუმბია — არგენტინა
	ვენესუელა	ვენესუელა — ბოლივია
	სანტიაგო	ჩილე — პარაგვაი
	კიტო	ეკვადორი — პერუ
V ტური 18.07.2000	ასუნსიონი	პარაგვაი — ბრაზილია
	ბუენოს აირესი	არგენტინა — ეკვადორი
	ლაპასი	ბოლივია — ჩილე
	ლიმა	პერუ — კოლუმბია
	მონტევიდეო	ურუგვაი — ვენესუელა
VI ტური 25.07.2000	ბრაზილია	ბრაზილია — არგენტინა
	ლაპასი	ბოლივია — პარაგვაი
	ვენესუელა	ვენესუელა — ჩილე
	მონტევიდეო	ურუგვაი — პერუ
	კიტო	ეკვადორი — კოლუმბია
VII ტური 15.08.2000	ბოგოტა	კოლუმბია — ურუგვაი
	სანტიაგო	ჩილე — ბრაზილია
	ეკვადორი	ეკვადორი — ბოლივია
	ბუენოს აირესი	არგენტინა — პარაგვაი
	ლიმა	პერუ — ვენესუელა
VIII ტური 02.09.2000	ლიმა	პერუ — არგენტინა
	ბრაზილია	ბრაზილია — ბოლივია
	მონტევიდეო	პარაგვაი — ეკვადორი
	სანტიაგო	ჩილე — კოლუმბია
	ასუნსიონი	პარაგვაი — ვენესუელა
IX ტური 07.10.2000	ბუენოს აირესი	არგენტინა — ურუგვაი
	ვენესუელა	ვენესუელა — ბრაზილია
	ბოგოტა	კოლუმბია — პარაგვაი
	კიტო	ეკვადორი — ჩილე
	ლაპასი	ბოლივია — პერუ
X ტური 14.11.2000	ლაპასი	ბოლივია — ურუგვაი
	ბრაზილია	ბრაზილია — კოლუმბია
	ასუნსიონი	პარაგვაი — პერუ
	სანტიაგო	ჩილე — არგენტინა
	ვენესუელა	ვენესუელა — ეკვადორი
XI ტური 27.03.2001	ბუენოს აირესი	არგენტინა — ვენესუელა
	კიტო	ეკვადორი — ბრაზილია
	მონტევიდეო	ურუგვაი — პარაგვაი
	ლიმა	პერუ — ჩილე
	ბოგოტა	კოლუმბია — ბოლივია
XII ტური 24.04.2001	ბრაზილია	ბრაზილია — პერუ
	ლაპასი	ბოლივია — არგენტინა
	კიტო	ეკვადორი — პარაგვაი
	სანტიაგო	ჩილე — პარაგვაი
	ვენესუელა	ვენესუელა — კოლუმბია
XIII ტური 02.06.2001	მონტევიდეო	პარაგვაი — ბრაზილია
	ბუენოს აირესი	არგენტინა — კოლუმბია
	ლაპასი	ბოლივია — ვენესუელა
	ასუნსიონი	პარაგვაი — ურუგვაი
	ლიმა	პერუ — ეკვადორი
XIV ტური 14.08.2001	ბრაზილია	ბრაზილია — პარაგვაი
	კიტო	ეკვადორი — არგენტინა
	სანტიაგო	ჩილე — ბოლივია
	ბოგოტა	კოლუმბია — პერუ
	ვენესუელა	ვენესუელა — ურუგვაი
XV ტური 04.09.2001	ბუენოს აირესი	არგენტინა — ბრაზილია
	ასუნსიონი	პარაგვაი — ბოლივია
	სანტიაგო	ჩილე — ვენესუელა
	ლიმა	პერუ — ურუგვაი
	ბოგოტა	კოლუმბია — ეკვადორი
XVI ტური 06.10.2001	მონტევიდეო	ურუგვაი — კოლუმბია
	ბრაზილია	ბრაზილია — ჩილე
	ლაპასი	ბოლივია — ეკვადორი
	ასუნსიონი	პარაგვაი — არგენტინა
	ვენესუელა	ვენესუელა — პერუ
XVII ტური 07.11.2001	ბუენოს აირესი	არგენტინა — პერუ
	ლაპასი	ბოლივია — ბრაზილია
	კიტო	ეკვადორი — ურუგვაი
	ბოგოტა	კოლუმბია — ჩილე
	ვენესუელა	ვენესუელა — პარაგვაი
XVIII ტური 13.11.2001	მონტევიდეო	ურუგვაი — არგენტინა
	ბრაზილია	ბრაზილია — ვენესუელა
	ასუნსიონი	პარაგვაი — კოლუმბია
	სანტიაგო	ჩილე — ეკვადორი
	ლიმა	პერუ — ბოლივია



1

რივალდო — 1999 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი

ის ნელ-ნელა სწავლობს

თანამემამულე გმირების, პელესა და ზიკოს დარად მეათე ნომრიანი მაისურას ტარება უდიდესი ტვირთი გახლდათ, მაგრამ რივალდომ დაამტკიცა, რომ წინაპართა ღირსეული მემკვიდრეა — ორშაბათს იგი 1999 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულით დააჯილდოვეს.

„ფრანს ფუტბოლმა“ ბრაზილიელს „ოქროს ბურთი“ გადასცა, ჯილდო, რომელსაც საფუძვლად „კოპა ამერიკას“ ჩემპიონის ტიტული და ესპანეთის პირველობაზე, „ბარსელონას“ შემადგენლობაში გატანილი 24 გოლი თანაბრად დაედო.

კარიერის ადრეულ წლებში რესიფეში შობილ და გაზრდილ მოთამაშეს ხშირად გაუბრწყინია საფეხბურთო მოედანზე, მაგრამ 27 წლისამ საგანგებო სიმაღლეებს და რაც მთავარია, სტაბილურობას მიაღწია. კლუბსა და ეროვნულ გუნდში ჩინებული თამაშისთვის რივალდო ანუ იგივე ვიტორ ბარბოსა ფერეირა შეიქნა მეორე ბრაზილიელი, „ბებერი კონტინენტის“ უპრესტიჟულესი ტიტულით რომ დააჯილდოვეს. პირველი 1997 წელს რონალდო გახლდათ.

იგი ნებისმიერი მოწინააღმდეგის რისხვა, სპრინტერივით სწრაფი და იმავდროულად საოცარი დრიბლიორია.

მეოთხე ბარსელონელი

„ბარსელონას“ მეთერთმეტე ნომერი ამ კლუბის ისტორიაში მეოთხე ფეხბურთელია, რომელსაც „ოქროს ბურთი“ ერგო.

პირველი გახლდათ ლუის სუარესი. მან „ფრანს ფუტბოლის“ რეფერენდუმში 1960 წელს, ჯილდოს არსებობის მეხუთე წლისთავზე გაიმარჯვა. სუარესის წარმატებას 13 წლიანი დუმილი მოჰყვა, რის შემდეგაც გამოჩნდა იოჰან კრუიფი, კონტინენტის 1973 და 1974 წლების საუკეთესო ფეხბურთელი, რომლის მწვრთნელობის ეპოქაშიც, 1994 წელს, „ოქროს ბურთი“ მესამე ბარსელონელს, ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს ერგო.

მაშ ასე, რივალდო მეოთხეა, თუმცა კატალონიელ ქომაგებს „ფრანს ფუტბოლის“ 1997 წლის ტროფიც სანახევროდ თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ. საქმე ის გახლავთ, რომ მართალია მაშინდელი ლაურეატი, რონალდო, ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალის დროს მილანის „ინტერის“ ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ბრწყინვალე სეზონის პირველი ნახევარი „კამპ ნოუზე“ ჰქონდა გატარებული.

და სწორედ იმ ზაფხულს, როდესაც რონალდო „ბარსელონადან“ „ინტერში“ გადადიოდა, კატალონიის დედაქალაქის გუნდმა „დეპორტივო ლა კორუნიასგან“ რივალდო იყიდა.

რივალდოს თავიდან გაუჭირდა. ქომაგებმა, რომელთათვისაც რონალდო ბევრს ნიშნავდა, მისი შემცვლელი ბრაზილიელი ეჭვით მიიღეს და რამდენჯერ უსტვინეს კიდეც...

რივალდო — გაგრძელება იქნება

საქმე ასეა: „ოქროს ბურთის“ ლაურეატი წინა სამი ბარსელონელი, ჯილდოს კარიერის ზენიტში დაეუფლა, მაგრამ, რაც შეეხება რივალდოს, ბევრის აზრით, მას დიდი ტრიუმფი ჯერ კიდევ ელის.

ესპანური საფეხბურთო ჟურნალი „დონ ბალონი“ აგერ უკვე ორი წელინადია ბრაზილიელს საუკეთესო უცხოელად ასახელებს, მაგრამ სულ ახლახანს, სექტემბერში იგი წერდა, რომ რივალდო პრობლემის წინაშე დგას:

„ყოველ კვირას იგი გულშემატკივარს ფეხზე წამოახტუნებს და ოვაციებს ამართვინებს ჯადოსნური ტრიუკების მეშვეობით, მაგრამ მისი ფეხბურთი მისავე სამყაროშია ჩაკეტილი. რივალდო ბურთის მოსაძიებლად თავს იოტისოდენადაც არ ინუხებს და ხშირად შესაძლებლობებს ქარს ატანს“.

იხსენებენ 1996 წლის ოლიმპიადის ნახევარფინალს, ნიგერიის წინააღმდეგ, როდესაც რივალდო ბურთს ვერ შეელია, რის გამოც დაისაჯა, მეტოქემ აართვა და ბრაზილიელებს გოლი გაუტანა. აფრიკელებმა მოიგეს, შემდეგ ოლიმპიური ოქროც მოიპოვეს, ხოლო სამშობლოში დაბრუნებული რივალდო საჯარო კრიტიკის საგნად იქცა.

მიუხედავად ამ ინციდენტისა, ვარსკვლავს ჭკუის სასწავლებლად მაინც დასჭირდა დრო.

„ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. მე ნელ-ნელა ვსწავლობ დროული პასის გადაწოდებას“ — ამბობდა იგი ივნისში, პარაგვაიში „კოპა ამერიკაზე“ სათამაშოდ ჩასული.

ჯერჯერობით მისი ნათქვამი მართლდება და, ალბათ, სწორედ ამიტომაც ვარაუდობს ხალხი, რომ რივალდოს ისტორიას გაგრძელება ექნება.

ფილ მარშალი,
როიტერი

რივალდო

დაიბადა 1972 წლის 19 აპრილს ბრაზილიაში, ქალაქ რესიფეში. სრული სახელია ვიტორ ბარბოსა ფერეირა.

1989 — ყმაწვილთა შეჯიბრებაში თავის გამოჩენს შემდეგ აფორმებს პირველ პროფესიულ კონტრაქტს „სანტა კრუზთან“.

1991 — გადადის ბრაზილიის პირველ კლუბ „ფლამენგოში“.

1993 — გადადის „კორინთიანსში“. იმავე წლის დეკემბერში პირველად თამაშობს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში და მექსიკის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში გააქვს ერთადერთი გოლი.

1994 — ნაკრებში რეგულარულად თამაშობს, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიჰყავთ. იმავე წელიწადს გადადის „ჰალმეირასში“ და ხდება ბრაზილიის ჩემპიონი.

1996 — ხდება სან პაულუს შტატის ჩემპიონი და ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს შედალოსანი. იმავე წელიწადს გადადის ესპანურ „დეპორტივო ლა კორუნიაში“.

1997 — „დეპორტივოს“ შემადგენლობაში 42 შეხვედრიდან მონაწილეობს 41-ში, გააქვს 21 გოლი. ხელახლა აჰყავთ ეროვნულ გუნდში, უელსის ნაკრების წინააღმდეგ. იმავე წელიწადს 26.7 მილიონ დოლარად მას „ბარსელონა“ ყიდულობს.

1998 — ხდება ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი. 34 შეხვედრაში გააქვს 19 გოლი. ხდება მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

1999 — ხდება ესპანეთის ჩემპიონი. 37 შეხვედრაში გააქვს 24 გოლი. ხდება „კოპა ამერიკას“ ჩემპიონი და ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

მხოლოდ და მხოლოდ რესიფელი

ბრაზილიელი ქომაგების და ჟურნალისტების გულის გასახეთქად რივალდომ 1999 წლის „ოქროს ბურთი“ გარდაცვლილ მამას მიუძღვნა:

„ჩემი წარმატება თავიდან ბოლომდე მისი დამსახურებაა“ — ამბობს ლაურეატი „ფრანს ფუტბოლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში — „სწორედ ამიტომ ვუძღვნი ჯილდოს მას“.

ბრაზილიელმა, ევროპის 51 ჟურნალისტის გამოკითხვის შემდეგ 219 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ ინგლისელ დევიდ ბექჰემს 65 ქულით გაასწრო.

„ბექჰემი ჩემი დიდი მეტოქე გახლდათ. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია და გამარჯვებას იმსახურებდა. ვგონებ უპირატესობა გატანილი გოლების გამო მომენიჭა. ბექჰემმა „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ოთხი დიდი ტიტული მოიპოვა, იგი ჩინებულ პასებს აწვდის, მაგრამ ჩემზე ცოტა გოლი შეაგდო“.

რივალდოს გადაბირებას ევროპის უდიდესი და უმდიდრესი კლუბები ლამობენ, მაგრამ ვარსკვლავი, რომელმაც გაზულ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე თქვა უარი, აცხადებს, რომ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2003 წლამდე აქვს და მის ერთგულებას აპირებს.

„შეამაყება, რომ ჩემით ამდენი პრესტიჟული კლუბი დაინტერესდა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ბარსელონაში თავს ჩინებულად ვგრძნობ და პატივს ვცემ კონტრაქტს, რომლის ვადაც 2003 წელს იწურება“.

დღეისათვის „ბარსელონას“ დირექტორატი რივალდოს აგენტ ხოსე მარია მინგელასთან ვარსკვლავის ანაზღაურებაზე აწარმოებს მოლაპარაკებას, ოღონდ თავად ვარსკვლავი აცხადებს, რომ ამ თემაზე სეზონის ბოლომდე არაფრის თქმას აპირებს.

რივალდოს ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ, მარიო ზაგალოსა და ქომაგებთან უთანხმოება შურისძიების სურვილს არ აღუძრავს. უთანხმოების საბაბი კი ატლანტის ოლიმპიადაზე, ნიგერიასთან 3:4 დამარცხება გახლდათ.

„დღეს თავს ბედნიერად ვგრძნობ. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ყოველივის არ ვიყავი პოპულარული, რის გამოც მიჭირდა, მაგრამ დღეს ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. ახლა ბრაზილიური პრესა მაქებს. მას მერე, რაც „კოპა ამერიკა“ მოვიგეთ ჟურნალისტებმა ჩემდამი დამოკიდებულება შეიცვალეს“.

კითხვაზე, რატომ ვერ უგებდნენ ძმობლიურ ქვეყანაში, რივალდო პასუხობს: „მე არც რიოდან ვარ და არც სან პაულუდან. რესიფელი გახლავართ, რაც კარგა ხნის განმავლობაში მაბრკოლებდა. ბრაზილიაში ამას მნიშვნელობა აქვს“.

ეროვნული გუნდის თავკაცად ვანდერლეი ლუქსემბურგოს დანიშვნა კი ბევრს ნიშნავს:

„ამ კაცმა, ამომქაჩა როგორც ფეხბურთელი. მგონი, მისი დარი მწვრთნელი მსოფლიოში არ არის. იგი საუცხოოდ მიცნობს, მენდობა და მეხმარება“.

დღევანდელი „ბარსელონას“ ლიდერები — რივალდო და ლუიშ ფიგუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ ბექემი

ანდრეი შევჩენკო

გაბრიელ ბატისტუტა

იუვე, მილანი, ბაიერნი, ბარსა...

„ფრანს ფუტბოლის“ ბოლო, 44-ე გამოკითხვაში „ბარსელონას“ მოთამაშემ მეხუთედ ირგუნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გვირგვინი. საინტერესოა, რომ საერთო პირველობა ტურინის „იუვენტუსს“ ეკუთვნის. სხვადასხვა წლებში „ბებერი ქალბატონის“ მოთამაშეები შვიდჯერ დაუსახელებიათ კონტინენტზე საუკეთესოებად. შემდეგ მოდიან იტალიური „მილანი“ და გერმანული „ბაიერნი“. ამათ წარმომადგენლებს ჯილდო ხუთ-ხუთჯერ მიუღიათ.

1995 წლამდე რეფერენდუმში მხოლოდ ევროპელი ფეხბურთელის დასახელება შეიძლებოდა. მერე წესი შეცვალეს და გამარჯვების შანსი ევროპაში მოასპარეზე ნებისმიერი ეროვნების მოთამაშეს მისცეს. შედეგად, ბოლო ხუთი გამოკითხვიდან ევროპელებმა მხოლოდ ორჯერ იყოჩალეს (ზამერი, ზიდანი). ამდენივეჯერ გამოირჩნენ სამხრეთამერიკელები, კერძოდ ბრაზილიელები (რონალდო, რივალდო). ერთხელაც კონტინენტს მეფედ აფრიკელი ჟორჟ ვეა ჰყავდა.

მაშ ასე, წლევანდელ რეფერენდუმში პირველი რივალდოა, მეორე — „მანჩესტერ იუნაიტედის“ დევიდ ბექემი, მესამე — „მილანის“ უკრაინელი ანდრეი შევჩენკო, მეოთხე — „ფიორენტინას“ არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, მეხუთე — „ბარსელონას“ პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ.

რეფერენდუმში, ტრადიციულად, „სარბიელიც“ მონაწილეობდა და რჩეულთა ჩვენეული ხუთეული ასეთი გახლდათ: რივალდო, ფიგუ, ბატისტუტა, როი კინი და ბექემი. შეამჩნევდით, ოფიციალურ შედეგებთან მხოლოდ ერთი სხვაობაა — ანდრეი შევჩენკოს მაგიერ როი კინი გვეწერა.

FRANCE Football

ლუიშ ფიგუ

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები

1956	სტენლი მეტიუზი	ინგლისი	ბლექპული
1957	ალფრედო დი სტეფანო	არგენტინა/ესპანეთი	რეალი, მადრიდი
1958	რაიმონ კოპა	საფრანგეთი	რეალი, მადრიდი
1959	ალფრედო დი სტეფანო	არგენტინა/ესპანეთი	რეალი, მადრიდი
1960	ლუის სუარესი	ესპანეთი	ბარსელონა
1961	ომარ სივორი	არგენტინა/იტალია	იუვენტუსი, ტურინი
1962	იოჟეფ მასოპუსტი	ჩეხოსლოვაკია	დუკლა, პრაღა
1963	ლევ იაშინი	სსრ კავშირი	დინამო, მოსკოვი
1964	დენის ლოუ	შოტლანდია	მანჩესტერ იუნაიტედი
1965	ეუსებიო	პორტუგალია	ბენფიკა, ლისაბონი
1966	ბობი ჩარლტონი	ინგლისი	მანჩესტერ იუნაიტედი
1967	ფლორიან ალბერტი	უნგრეთი	ფერენცვაროში, ბუდაპეშტი
1968	ჯორჯ ბესტი	ჩრდ. ირლანდია	მანჩესტერ იუნაიტედი
1969	ჯანი რივერა	იტალია	მილანი
1970	გერდ მიულერი	გფრ	ბაიერნი, მიუნხენი
1971	იოჰან კრუიფი	ჰოლანდია	აიაქსი, ამსტერდამი
1972	ფრანც ბეკენბაუერი	გფრ	ბაიერნი, მიუნხენი
1973	იოჰან კრუიფი	ჰოლანდია	ბარსელონა
1974	იოჰან კრუიფი	ჰოლანდია	ბარსელონა
1975	ოლეგ ბლოხინი	სსრ კავშირი	დინამო, კიევი
1976	ფრანც ბეკენბაუერი	გფრ	ბაიერნი, მიუნხენი
1977	ალან სიმონსენი	დანია	ბორუსია, მიონხენგლადბახი
1978	კევინ კიგანი	ინგლისი	ჰამბურგი
1979	კევინ კიგანი	ინგლისი	ჰამბურგი
1980	კარლ ჰაინც რუმენიგე	გფრ	ბაიერნი, მიუნხენი
1981	კარლ ჰაინც რუმენიგე	გფრ	ბაიერნი, მიუნხენი
1982	პაოლო როსი	იტალია	იუვენტუსი, ტურინი
1983	მიშელ პლატინი	საფრანგეთი	იუვენტუსი, ტურინი
1984	მიშელ პლატინი	საფრანგეთი	იუვენტუსი, ტურინი
1985	მიშელ პლატინი	საფრანგეთი	იუვენტუსი, ტურინი
1986	იგორ ბელანოვი	სსრ კავშირი	დინამო, კიევი
1987	რუუდ გულიტი	ჰოლანდია	მილანი
1988	მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია	მილანი
1989	მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია	მილანი
1990	ლოთარ მათეუსი	გფრ	ინტერი, მილანი
1991	ჟან პიერ პაპენი	საფრანგეთი	ოლიმპიკი, მარსელი
1992	მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია	მილანი
1993	რობერტო ბაჯო	იტალია	იუვენტუსი, ტურინი
1994	ხრისტო სტოიჩკოვი	ბულგარეთი	ბარსელონა
1995	ჟორჟ ვეა	ლიბერია	მილანი
1996	მატიას ზამერი	გერმანია	ბორუსია, დორტმუნდი
1997	რონალდო	ბრაზილია	ინტერი, მილანი
1998	ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი	იუვენტუსი, ტურინი
1999	რივალდო*	ბრაზილია	ბარსელონა

ფეხბურთის რუკასთან

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ლიდერმა „კიოლნმა“ ირანელი ფორვარდი ხოდადად აზიზი გაყიდა. 28 წლის ფეხბურთელს, რომელიც გერმანულ კლუბს 1997 წელს შეუერთდა, კონტრაქტი 2000 წლის ივნისამდე ჰქონდა, თუმც, ხელმძღვანელობამ მასთან შეთანხმება ნაადრევად შეწყვიტა და თურქეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ანთალიას“ მიჰყიდა.

რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელად ეროვნული ნაკრების და ესპანური ვიგოს „სელტას“ ნახევარმცველი ვალერი კარპინი დაასახელეს. ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სპორტული გაზეთი „სოვეტსკი სპორტის“ ვერსიით, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას ყოველწლიურად აწყობს, აზრს ფეხბურთის წამყვან სპეციალისტებსა და მასმედიას დაეკითხა. მათი რჩეული კარპინი გახდა. მეორე ადგილზე მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ნაკრების მცველი ალექსეი სმერტინი გავიდა, ხოლო მესამეზე კარპინის თანაგუნდელი ვიგოს „სელტაში“ ალექსანდრ მოსტოვოი.

იტალიური „ფიორენტინას“ მცველი მორენო ტორიჩელი სერია A-ს ბოლო ტურის მატჩში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ დაშავდა და ექიმების აზრით, დაახლოებით ექვსი თვე ვერ ითამაშებს. ტორიჩელიმ, რომელიც „ფიორენტინაში“ ჩარიცხვამდე სწორედ „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა, თავის ყოფილ გუნდთან შეხვედრაში მუხლი დაიზიანა.

იტალიური „მილანი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდის, ხოსე მარი რომეროს გადაბირების თაობაზე. „მილანი“ მასში 19,5 მილიონ დოლარს იხდის. თუ შეთანხმება შედგა, ხოსე მარი ყველაზე ძვირადღირებული ესპანელი ფეხბურთელი გახდება. დღემდე უძვირფასესი ესპანელი დანი გარსია გახლავთ, რომელიც სეზონის დასაწყისში „მალიორკადან“ „ბარსელონაში“ 15 მილიონ დოლარად გადაბარგდა. „მილანის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ შეთანხმება უახლოეს მომავალში შედგება და ხოსე მარი იტალიურ სუპერგრანდში საახალწლო შესვენების შემდეგ გამოჩნდება. კონტრაქტის სავარაუდო ვადა 5 წელია. ახალგაზრდა ფეხბურთელი თავისი ქვეყნის 21-წლამდელთა გუნდში ხშირად თამაშობს, თუმცა მთავარი ნაკრების მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩოს ეროვნულ გუნდში ჯერჯერობით არ მიუწვევია.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაც ოტმარ ჰიცფელდს შვეიცარიის პირველდივიზიონელი „არაუდან“ პოლონელი ნახევარმცველის — სლავიმირ ვოიჩეკოვსკის გადაბირება სურს. „სავარაუდოა, რომ ზამთრის შესვენების შემდეგ პოლონელი „ბაიერნის“ ღირსებას დაიცავს“ — აცხადებს მარსელური კლუბის პრესატაშე. „მარსელმა“ სეზონის დასაწყისში მილანის „ინტერში“ დაცვის ცენტრალური ფიგურა, ლორან ბლანი გაუშვა და მას შემდეგ ამ ხაზის გაძლიერებას ცდილობს. გავრცელდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომ კლუბის გამთამაშებელი რობერ პირესი, რომლის შეძენასაც ინგლისური „არსენალი“ ვარაუდობდა, ჯერჯერობით არსად წასვლას არ აპირებს.

გერმანიის ბუნდესლიგაში მოასპარეზე ფრანკფურტის „აინტრახტის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი, იორგ ბერგერი გაათავისუფლა. მიზეზი კლუბის წარუმატებელი ასპარეზობაა, რის შედეგადაც „აინტრახტი“ გათამაშების ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება, უკანასკნელ ტურში კი მათ უშუალო კონკურენტ „ულმთან“ დათმეს შეხვედრა — 0:3. ბერგერი „აინტრახტის“ მთავარ მწვრთნელად წლეულს აპრილში დაინიშნა. მის შემცვლელად გუნდის ხელმძღვანელობას ბრემენის „ვერდერის“ თავკაცყოფილი — ფელიქს მაგათი სურს.

ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ყოფილ თავკაცს, იუგოსლავიელ სპეციალისტ დუშან ბაევიჩს, რომელმაც ახალი წლიდან ბერძნულ პაოკ-ს უნდა უხელმძღვანელოს, თავის მომავალ კლუბში ინგლისური „დერბი ქაუნთიდან“ ბერძენი მცველის, ვასილის ბორბოკისის გადაბირება სურს. საამისოდ ბაევიჩმა ალბიონზე დელეგაციაც კი მიავლინა. წინასწარი მონაცემებით, ფეხბურთელი თანახმაა, პაოკ-თან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმოს. შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიელმა მწვრთნელმა „ოლიმპიაკოსი“ მიმდინარე სეზონის ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელი ასპარეზობის გამო დატოვა.

შოტლანდიურ გლაზგოს „რეინჯერსში“ მოასპარეზე რუსი ლეგიონერი ანდრეი კანჩელსკისი ამ ბოლო დროს გუნდის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, თუმცა უკანასკნელი ტურის შეხვედრაში, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა „მოზერუელის“ წინააღმდეგ, მოედანზე გამოჩნდა და ორი გოლის გატანა მოახერხა. „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მის გაყიდვას არ აპირებს. „კანჩელსკისი კლუბის ერთ-ერთი მთავარი წევრია. მართალია, ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ როგორც კი გამოჩნდება, საჭირო გოლები გააქვს. არა მგონია, მთავარ მწვრთნელს მასთან რამე პრობლემა ჰქონდეს. დანამდვილებით გეტყვით, რომ მის გაყიდვას არ ვაპირებთ“ — განაცხადა კლუბის დირექტორმა. შეგახსენებთ, რომ კანჩელსკისმა, რომელიც წარმოშობით უკრაინელია, კარიერა დონეცკის „შახტარში“ დაიწყო. ამის შემდეგ ხუთი წელი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაატარა, სადაც 123 შეხვედრაში 29 გოლი გაიტანა, მომდევნო ორი სეზონი ლივერპულის „ევერტონში“ ასპარეზობდა. სწორედ იქედან გადავიდა ფლორენციის „ფიორენტინაში“, მაგრამ გუნდს ვერ მოერგო და საბოლოოდ შოტლანდიის ჩემპიონ „რეინჯერსში“ დაიდო ბინა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **სპეტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

პორტუგალია

პორტუ 5:0 ფარენსე

1:0 ესკერდინია (7), 2:0 ჟარდელი (18), 3:0 ნუნო კაპუჩო (36), 4:0, 5:0 ჟარდელი (42, 52)

ამხანაგური მატჩი

საბერძნეთი 2:2 ესტონეთი

1:0 გეორგიადისი (18), 1:1, 1:2 ოპერი (20, 41), 2:2 ლიბეროპულოსი (52)

საბერძნეთი: კატერგიანაკისი, გუმასი, უზუნიდისი, ლომპუტისი, ბასინასი, მარკოსი, ლიბეროპულოსი, ფრანცესკოსი, კუცისი, გეორგიადისი, ფრუსოსი

შეცვლაზე შევიდნენ: კიპარისისი, სტოლტიდისი, ხაძიძისისი, პ. კონსტანტინიდისი, ვენეტიდისი

ესტონეთი: ტოჰვერი, სტეპანოვი, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, რუბა, ტერენოვი, ანისტე, ოპერი, კრისტალი, რეიმი, არბაიტერი

შეცვლაზე შევიდნენ: სარკატი, ლობენი, ბიკნერი

ბეკენბაუერი ჰეთ-თრიქს გეგმავს

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი იმედოვნებს, რომ მისი გუნდი მიმდინარე სეზონში გერმანულ დუბლს შეასრულებს, ანუ ქვეყნის ჩემპიონობასა და თასს ერთდროულად მოიპოვებს, ხოლო ამ ყოველივეს ევროტრიუმფით დააგვირგვინებს და ჩემპიონთა თასის მოგებას წლეულს მაინც მოახერხებს. გასულ სეზონში მიუნხენელები მხოლოდ გერმანიის ჩემპიონები გახდნენ, ქვეყნის თასის ფინალში კი ბრემენის „ვერდერთან“ დამარცხდნენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მოგებამდე ცოტაღა დააკლდათ — ფინალური შეხვედრის დამატებულ ორ წუთში გამარჯვება ხელიდან გაუშვეს და ნანატრი თასი „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუთმეს. კაიზერ ფრანცი იქადნება, რომ წლეულს „ბაიერნი“ არც ერთ ტიტულს აღარ დათმობს.

„მჯერა, რომ ბუნდესლიგას, ქვეყნის თასსა და ჩემპიონთა ლიგას ერთდროულად მოვიგებთ. გასულ სეზონთან შედარებით ჯერჯერობით საკუთარი პოტენციალის მხოლოდ 70 პროცენტი გამოვავლინეთ. როდესაც გუნდი საკუთარ თამაშს იპოვის, ალბათ, ვეღარაფერი შეგვაჩერებს. ასე იქნება ახალი წლის შემდეგ“ — აცხადებს ბეკენბაუერი.

რა აცვიათ ვარსკვლავებს?

ბრაზილიელმა ფეხბურთის ვარსკვლავმა რონალდომ, რომელიც ამჟამად ტრავმის გამო ვერ თამაშობს, ახალი, საინტერესო შეთანხმება გააფორმა. ამიერიდან ხალხი რონალდოს მხოლოდ და მხოლოდ „ჯორჯო არმანის“ ტანსაცმელში გამოწყობილს იხილავს. ბრაზილიელმა ვუნდერკინდმა ცნობილ ფირმასთან კონტრაქტს სულ ახლახან მოაწერა ხელი. თუმც, შეთანხმების ერთ-ერთ მუხლში გათვალისწინებულია, რომ სამატჩო დღეებში რონალდოს, „ინტერის“ სპორტული სამოსისა და აღჭურვილობის ტარების უფლება ეძლევა. ამჟამად ტრავმირებული რონალდო საშობაო არდადეგებს მშობლიურ რიოში ატარებს. მას პარიზში ოპერაცია უკვე გაუკეთეს და იმედოვნებენ, რომ გაზაფხულისთვის თამაშს შეძლებს.

მოდელიორებსა და ფეხბურთელებს შორის დადებული კონტრაქტები გაკვირვებას უკვე აღარ იწვევს. ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა დევიდ ბექემმა, რომელთან თანამშრომლობასაც რამდენიმე წამყვანი სამოდელო ფირმა ცდილობდა, ჯერჯერობით კონტრაქტის დადებაზე ყველას კატეგორიული უარი შეუთვალა.

მეოცე საუკუნის საუკეთესო რუმინელი ფეხბურთელი გეორგე ჰაჯი

საუკუნის რუმინელები

ევროპას საუკეთესოთა შორის საუკეთესოების არჩევის ტალღამ გადაუარა. ამჯერად საუკუნის ფეხბურთელის დასახელება რუმინელებმა ითავეს. საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციაში რატომღაც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, პირველობა გეორგე ჰაჯის მიულოცეს. მრავლისმნახველი ფეხბურთელი ბედნიერი იყო. მან რუმინელ ხალხს მადლობა გადაუხადა და განაცხადა: „აგირჩიონ საუკუნის უდიდეს ფეხბურთელად, უზარმაზარი პატივია. ამაზე ოცნებასაც ვერ გავბედავდი. კარიერის მანძილზე უამრავი ჯილდო მიმიღია — ამ აღიარებას არც ერთი სჯობს. მალე თამაშს თავს დავანებებ. იქამდე კი ერთი ნატვრა უნდა ავისრულო — მინდა, მეგობრებთან ერთად ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვო“.

34 წლის გეორგე ჰაჯი რუმინეთის ეროვნულ გუნდში 1981 წლიდან თამაშობს. სხვადასხვა დროს ის ისეთ სუპერკლუბებში გამოდიოდა, როგორებიცაა „რეალი“ და „ბარსელონა“. ნაკრებში ჰაჯის 119 მატჩი ჩაუტარებია და 35 გოლი გაუტანია. მისი კაპიტნობის ჟამს რუმინეთმა თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა. ნაკრებში გატანილი 35 გოლიდან სამი, ჰაჯიმ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე შეაგდო.

ჰაჯის ოცნების ასასრულებლად, ანუ ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად, გვარიანი გარჯა მოუწევს. ჯგუფში რუმინელთა მეტოქეები ინგლისი, გერმანია და პორტუგალია არიან.

რუმინელებმა ფეხბურთელთან ერთად საუკუნის მწვრთნელიც დაასახელეს. მათი რჩეული გენერალი ანგელ იორდანესკუ გახდა.

დესაი და ლაციო

მსოფლიოს ჩემპიონი მარსელ დესაი, რომელიც ლონდონის „ჩელსის“ ღირსებას იცავს, სეზონის ბოლოს ინგლისის დატოვებას აპირებს. ამის შესახებ ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც „ჩელსი“ პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში შინ „სტემფორდ ბრიჯზე“ გათამაშების ლიდერ „ლიდს იუნაიტედთან“ 0:2 დამარცხდა, ცხრილში მე-10 ადგილზე გადაინაცვლა და გაჩემპიონებაც თითქმის მიუღწეველ ოცნებად ექცა.

დესაი, რომელიც მუდამ პროფესიული წარმატებისთვის იბრძოდა, მიხვდა, რომ „ჩელსიში“ დიდი მომავალი არ მოელოდა და ჯანლუკა ვიალის გუნდის დატოვება გადაწყვიტა, თუმც ნისლიან ალბიონთან გამოთხოვებას სეზონის ბოლომდე არ აპირებს, ლონდონელებს ინგლისის თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაში დაეხმარება.

რომის „ლაციოც“ მაღალი დონის მცველით უმალ დაინტერესდა. ინგლისურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს რომაელებმა „ჩელსის“, დესაის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. თუმც, ჯერჯერობით ზუსტად არაფერია ცნობილი, მაგრამ მოსალოდნელია, ინგლისში გატარებული ორწლიანი კარიერის შემდეგ ფრანგი „ლაციოში“ გადაბარგდეს, ხოლო ამის შემდეგ დიდი ფეხბურთის თამაში საბოლოოდ მშობლიური ქვეყნის გუნდ — მარსელის „ოლიმპიკში“ დაასრულოს.

ირლანდია ჩივილს არ აპირებს

ალბათ, გახსოვთ, ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში თურქეთისა და ირლანდიის ნაკრებების ორმატჩიან დუელში თურქებმა რომ იმარჯვეს და ბელგია-ჰოლანდიის საგზურიც მოიპოვეს. იმასაც შეგახსენებთ, რომ თურქეთის ქალაქ ბურსაში გამართულ შეხვედრაში მეტოქენი წაიჩხუბნენ. ამ შეხლა-შემოხლაში სტუმართაგან ყველაზე მეტად ვეტერანი, 37 წლის ტონი კასკარინო გამოირჩეოდა. ცხადია, ფეხბურთელის უსაქციელობა უეფას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ჩხუბისთავი ირლანდიელი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, თუმც, როგორც შემდგომ გაირკვა, ხსენებული შეხვედრა მის სანაკრებო კარიერაში უკანასკნელი გახლდათ. გარდა ამისა, ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციას 23 ათასი შვეიცარიული ფრანკის (დაახლოებით 15 ათასი დოლარი) გადახდა დაეკისრა.

როგორც ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის აღმსრულებელი დირექტორი ბერნარდ ობირნი აცხადებს, ისინი განჩენის გასაჩივრებას არ აპირებენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნავს, რომ უეფამ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო.

„ვიჩივლებდით, წარმატების იმედი რომ გვქონდეს. ვთვლი, რომ უეფა შეცდა, თუმცა რაღას გავაწყობთ, ჯობს ყველაფერი დავივიწყოთ“ — თქვა ობირნიმ.

სლოვენია

XIII ტური

კრკა — ტრიგლავი 87:79, ლოკა კავა — ოლიმპია 53:95, სავინსკი — როგლა ატრასი 78:91, მარიბორი — პივოვარნა 85:102, კრაშკი ზიდარი — ჰელიოსი გაიმართება 6 იანვარს

სლოვანი 79:83 ზაგორიე

სლოვანი: ნოვაკი (18), ლაკოვიჩი (14), უაკელი, შინკოვეცი (2), ჯურკოვიჩი (16), კოვაჩი (1), პავიჩი (11), ბოისა (9), შუშტარშიჩი (6), ცვიტიშვილი (2)

ზაგორიე: პეტერლინი (8), რიტუპერი (21), იაპიჩი (7), ლებანი (18), ჩოი (4), პრიმორაცი (13), ჩოვიჩი (12, ბასინი

გამარჯვების შემთხვევაში ლიუბლიანის „სლოვანი" ერთპიროვნულად დამკვიდრდებოდა მეოთხე ადგილზე, ახლა კი ისიც დაკარგა და ერთბაშად ორი მოზიარე გაუჩნდა: მას, „ზაგორიეს" და „ტრიგლავს" 20-20 ქულა აქვთ.

მატჩი, პრინციპში, თანაბარი იყო, ოღონდ მცირე უპირატესობას მაინც „ზაგორიე" ფლობდა. მეორე ტაიმის საწყისი სამი წუთი სტუმრებმა 10:3 მოიგეს და 50:40 დაწინაურდნენ. „სლოვანი" ბევრს ეცადა, მაგრამ მდგომარეობა ვეღარ გამოასწორა. ამის მიზეზი ლიუბლიანელთა სუსტი დაცვა და ზაგორიელთა ლიდერის, რაიკო რიტუპერის არაჩვეულებრივად ზუსტი თამაში იყო.

„სლოვანის" ქართველთაგან ვლადიმერ ბოისამ და ნიკა ცქიტიშვილმა ითამაშეს. დავით უგრეხელიძე მოედანზე არ შესულა, მიუხედავად იმისა, რომ ლიუბლიანელთა ძირითადმა ცენტრმა პაველ ჯურკოვიჩმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე მეხუთე პერსონალური მიიღო. ბოისამ 33 წუთი ითამაშა. სამქულიანი ერთხელ ესროლა და ჩაგდო. სამგიერად, ვერ იყოჩაღა ორქულიანებში (რვიდან ხუთი ააცილა) და საჯარიმოებში (ორიდან ორი ააცილა). ვლადიმერმა 7 მოხსნაც მიითვალა.

ნიკა ცქიტიშვილი პირველი ტაიმის ბოლოს შეუშვეს მოედანზე და თამაშში კარგად ჩაერთო. ქართველმა მეორე ტაიმი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მაგრამ ნაკლებშთამბეჭდავად მოქმედებდა და მწვრთნელებმა გამოცვალეს. ჯამში ცქიტიშვილს ექვსი ნათამაშევი წუთი მოუგროვდა, რომლის განმავლობაში სამიდან ერთი ნასროლი ჩაგდო და ერთი მოხსნა გააკეთა.

ხვალ „სლოვანი" სტუმრად ეთამაშება „როგლა ატრასს".

ოლიმპია	13	13	0	1174:765	26
პივოვარნა	13	11	2	1138:935	24
კრკა	13	11	2	1035:889	24
ტრიგლავი	13	7	6	1049:980	20
სლოვანი	13	7	6	917:906	20
ზაგორიე	13	7	6	959:999	20
სავინსკი	13	6	7	1016:1009	19
როგლა ატრასი	13	4	9	915:1003	17
მარიბორი	13	4	9	883:1069	17
ჰელიოსი	12	4	8	897:1006	16
ლოკა კავა	13	2	11	846:1009	15
კრაში ზიდარი	12	1	11	811:970	13

ესპანეთი

XVI ტური

კასერესი — ბადალონა 81:74, ფუენლაბრადა — კახა სან ფერნანდო 75:79, რეალი — ტაუ 70:79, ხირონა — ბარსელონა 66:73, პამესა — კანარიასი 94:66, უნიკახა — ფორუმი 73:61, ლეონი — ტდკ 75:59, ხიხონი — ესტუდიანტესი 72:69, კანტაბრია — ბრეოგანი 50:57

პამესა	16	13	3	1272:1107	29
სან ფერნანდო	16	12	4	1208:1106	28
ბარსელონა	16	11	5	1166:1089	27
ტაუ	16	10	6	1287:1192	26
ესტუდიანტესი	16	10	6	1185:1135	26
უნიკახა	16	9	7	1103:1067	25
კანარიასი	16	9	7	1189:1217	25
ხირონა	16	8	8	1182:1123	24
რეალი	16	8	8	1191:1114	24
კასერესი	16	8	8	1169:1194	24
ფორუმი	16	8	8	1101:1128	24
ბადალონა	16	7	9	1249:1265	23
ფუენლაბრადა	16	6	10	1180:1185	22
ხიხონი	16	6	10	1093:1210	22
ტდკ	16	5	11	1195:1151	21
ბრეოგანი	16	5	11	1155:1249	21
კანტაბრია	16	5	11	1089:1248	21
ლეონი	16	4	12	1056:1159	20

საბერძნეთი

XI ტური

ირაკლიონი — ესპეროსი 101:77, არისი — სპორტინგი 73:77, ნიარ ისტი — პაოკ 90:86, პერისტერი — მარუსი 74:75, აეკ — დაფნი 77:59, ოლიმპიაკოსი — პანიონიოსი 79:64, ირაკლისი — პანათინაიკოსი 62:80

პანათინაიკოსი	11	10	1	816:650	21
ოლიმპიაკოსი	11	9	2	779:679	20
აეკ	11	9	2	835:705	20
პაოკ	11	8	3	825:747	19
პერისტერი	11	6	5	800:782	17
მარუსი	11	6	5	744:752	17
ნიარ ისტი	11	5	6	826:891	16
ირაკლიონი	11	5	6	786:767	16
ირაკლისი	11	5	6	765:750	16
პანიონიოსი	11	4	7	776:800	15
დაფნი	11	4	7	772:869	15
არისი	11	3	8	765:793	14
ესპეროსი	11	2	9	731:892	13
სპორტინგი	11	1	10	693:836	12

იტალია

XIV ტური

ვარეზე — აეროპორტი 84:90, ფორტიტუდო — ძუკეტი 83:67, იმოლა — კანტუ 83:77, რეჯანა — პესი 83:62, სიენა — ადეკო 74:69, მიულერი — ბენეტონი 65:80, სკავოლინი — ვიოლა 91:70, ტრიესტი — კინდერი 63:62

ფორტიტუდო	14	13	1	1063:912	27
კინდერი	14	10	4	1079:923	24
სკავოლინი	14	10	4	1087:1029	24
სიენა	14	9	5	982:920	23
აეროპორტი	14	9	5	1012:998	23
ვიოლა	14	9	5	1032:1058	23
ბენეტონი	14	8	6	993:954	22
ძუკეტი	14	8	6	1013:1019	22
იმოლა	14	7	7	1084:1094	21
ტრიესტი	14	5	9	988:963	19
ადეკო	14	5	9	1008:1049	19
კანტუ	14	5	9	976:1082	19
ვარეზე	14	4	10	991:1041	18
მიულერი	14	4	10	936:1006	18
რეჯანა	14	3	11	1066:1155	17
პესი	14	3	11	932:1039	17

თურქეთი

XIII ტური

დარუშაფაკა — ფენერბაჰჩე 83:72, ეფესი — ოიაქი 74:64, გალათასარაი — ბეშიქთაში 63:85, ტროი — ტელეკომი 101:99, მიდონოსე — ქარშიაკა 91:74, თოფაში — ქომბასანი 92:75, ულქერი — ითუ 72:67

ქარშიაკა	13	10	3	975:895	23
ეფესი	13	10	3	978:913	23
თოფაში	13	10	3	1004:874	23
ტელეკომი	13	9	4	999:930	22
ბეშიქთაში	13	8	5	979:944	21
დარუშაფაკა	13	8	5	971:957	21
გალათასარაი	13	8	5	965:898	21
ფენერბაჰჩე	13	7	6	1004:959	20
ულქერი	13	7	6	946:935	20
ითუ	13	4	9	858:977	17
ტროი	13	4	9	974:1050	17
ქომბასანი	13	3	10	900:931	16
მიდონოსე	13	3	10	995:1080	16
ოიაქი	13	0	13	829:1034	13

საფრანგეთი

XV ტური

სტრასბური — ლიმოჟი 86:90, საონი — პარი სენ ჟერმენი 81:67, შოლე — ნანსი 77:74, ვილერბანი — მონპელიე 76:63, ევრე — შამპანი 64:62, ანტიბი — დიჟონი 80:76, ლე მანი — ბეზანსონი 72:61, გრაველინი — პო ორტეზი 76:75

ვილერბანი	15	13	2	1178:1003	28
პო ორტეზი	15	13	2	1197:1094	28
ლიმოჟი	15	11	4	1112:1026	26
ლე მანი	15	10	5	1100:1060	25
შოლე	15	9	6	1117:1084	24
პსჟ	15	8	7	1090:993	23
საონი	15	8	7	1105:1065	23
სტრასბური	15	8	7	1092:1092	23
ევრე	15	7	8	1036:1059	22
დიჟონი	15	6	9	1076:1072	21
ბეზანსონი	15	6	9	1097:1095	21
ნანსი	15	5	10	1028:1040	20
მონპელიე	15	5	10	1021:1134	20
შამპანი	15	4	11	1028:1103	19
ანტიბი	15	4	11	1020:1177	19
გრაველინი	15	3	12	961:1161	18

რეგულარული ჩემპიონატი

ოვერტაიმებით დასუნქლები



REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — შარლოტი. ჩარლი ვორდს (მარცხნივ) და შარლოტელ დერიკ კოულმენს (№44) ბურთისთვის აღარ სცხელათ

20 დეკემბერი

ჩიკაგო 84:93 სიეტლი

ჩიკაგო: ბენჯამინი (19), დევიდი (14), არტესტი (14), ბრენდი (14), სიმპკინსი (6); ლარუ (13), ჰერდიუ (2), რუფინი (2), ენსტი

სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა), ბერი (13), პატერსონი (16), ბეიკერი (25), გრანტი (2 ქულა, 10 მოხსნა); მაქსველი (9), მაკკოი (3), სტეფანია (2), ლუისი (1), დევისი

ჯერ კიდევ სამი წლის წინ ეს გუნდები პლეი ოფის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ისინი ლიგას აზანზარებდნენ. მაშინდელი შემადგენლობიდან „სიეტლს" მხოლოდ გერი პეიტონიღა შემორჩა, რომლის ირგვლივაც ახალი გუნდი შეიკრა. აი, „ჩიკაგოს" კი მაშინდელ ლიდერთან აღარავინ ჰყავს...

ცხადია, არავითარი შანსი არ ჰქონდათ მასპინძლებს „სიეტლთან" ბრძოლაში თუნდაც იმის გამო, რომ ისედაც საცოდავი შემადგენლობიდან ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლდათ. მათგან ორი ყველაზე გამორჩეული ხორვატი ტონი კუკოჩი და ექსსიეტლელი ჰერსი ჰოკინსი კარგა ხანია, არ თამაშობენ და ამიტომაცაა მათი გუნდი ყველაზე უსუსურად იქცა ლიგაში.

მასპინძლებმა თავი დადეს გამარჯვებისთვის, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ეომნენ გაცილებით ძლიერ მეტოქეს და რომ დამარცხდნენ, ამას უიღბლობას აბრალებენ. ისე, მთლად ასეც არ იყო საქმე. უბრალოდ, სტუმრები ცდილობდნენ, ნაკლებად გაოფლილიყვნენ და შეხვედრა ცალი ხელით მოეგოთ. ეს კი არ მოხერხდა. ნბა-ს ყველაზე უარესი გუნდი განახევრებული შემადგენლობითაც არ თმობდა პოზიციებს იოლად. ჩიკაგოელმა კორი ბენჯამინმა 19 ქულით სულაც კარიერის პირადი რეკორდი დაიმყარა, რასტი ლარუმ 13 ქულა დააგროვა და ორი დაკლდა კარიერის რეკორდამდე, არც სხვებმა დაზოგეს თავი და „ბულზმა" სამი მეოთხედი სდია სტუმარ გუნდს.

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ანგარიში 72:71 იყო „ჩიკაგოს" სასარგებლოდ. აქ კი დაფრთხდნენ სტუმრები, მარცხი იგრძნეს და საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ. მანამდე თითქმის უქმად მყოფი გერი პეიტონი ჩვეულად ამოქმედდა, ერთ წუთში ერთბაშად შვიდი ქულა გააკეთა და მასპინძელთა იმედებს, სეზონში მესამედ ემარჯვათ, ცივი წყალი გადასხა. გაზოცცხლდნენ სხვა სიეტლელებიც და მათი გუნდი საკმაოდ დაშორდა მონდომებულ „ბულზს". „ხარებს" კი მატჩის ბედის თავისკენ შესაბრუნებლად არც ძალა ეყოთ და არც კლასი.

უკვე მეორე შეხვედრაა ეძლევა სარბიელი „სუპერსონიქსის" ქართველ ცენტრ ვოვა სტეფანიას. „ვანკუვერთან" შეხვედრაში მან 15 წუთი ითამაშა და ექვსი ქულაც გააკეთა, ამჯერად კი მხოლოდ ექვსი წუთი დაჰყო მოედანზე და ორ ქულასა და ერთ პასს დასჯერდა. ამასთან სტეფანიამ ერთი საჯარიმო ვერ ჩააგდო.

ფინიქსი 108:101 მილუოკი

ფინიქსი: როჯერსი (24 ქულა)

მილუოკი: ალენი (31), კასელი (19 ქულა, 10 პასი)

გოლდენ სტეიტი 111:99 საკრამენტო

გოლდენ სტეიტი: კეფი (26 ქულა, 14 მოხსნა), სტარკსი (20 ქულა, 10 პასი), მილზი (20)

საკრამენტო: ვილიამსონი (24)

დენვერი 97:88 პორტლენდი

დენვერი: მერსერი (22), მაკდაიესი (20)

პორტლენდი: სტუდემაიერი (19)

დალასი 89:92 მაიამი

დალასი: ტრენტი (22)

მაიამი: ბრაუნი (25 ქულა, 13 მოხსნა), მურნინგი (18 ქულა)

ორლანდო 104:102 იუტა

ორლანდო: არმსტრონგი (22)

იუტა: მელოუნი (29 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი)

ნიუ იორკი 112:109 შარლოტი

(ძირითადი დრო 97:97)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (31), სპრიუელი (30)

შარლოტი: ჯონსი (23), ვესლი (19)

კლივლენდი 94:100 მინესოტა

კლივლენდი: სურა (20)

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 18 მოხსნა)

ფილადელფია 122:121 დეტროიტი

(ძირითადი დრო 110:110)

ფილადელფია: აივერსონი (32), ჰილი (22), მაკკი (21), ჰიუზი (20)

დეტროიტი: ჰილი (32), სტეკჰაუზი (23)

ბოსტონი 90:99 ლეიკერსი

ბოსტონი: უოლკერი (24), ანდერსონი (21 ქულა, 10 პასი)

ლეიკერსი: ონილი (34 ქულა, 20 მოხსნა), ბრაიანტი (27)

20 დეკემბერი ერთობ დაძაბულ და საინტერესო თამაშების დღე იყო, ამავე დროს მოულოდნელობებით აღსავსე. რამდენიმე ბობოლა გუნდი გააკრეს მათზე სუსტებმა ბეჭებზე. ყველაზე მოულოდნელად „საკრამენტო" — „გოლდენ სტეიტის" შეხვედრა დასრულდა. „საკრამენტომ" სეზონი მშვენივრად დაიწყო და ერთხანს ლიგის ლიდერადაც მოგვევლინა. მართალია, „მეფეებმა" ამ ბოლო დროს წაგებებს უხშირეს, რის გამოც, ბუნებრივია, სუტურნირი ცხრილიც ჩამოქვეითდნენ, მაგრამ „გოლდენ სტეიტთანაც" თუ წააგებდნენ, ამას ბევრი არ იფიქრებდა.

იგივე ითქმის „პორტლენდზე", ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდზე. ამ უქმეებზე „ბლეიზერსი" შინ ვერ მოერია „ფინიქსს", ახლა კი დენვერშიც სამარცხვინოდ დამარცხდა.

„პორტლენდისა" და „საკრამენტოსგან" განსხვავებით, მშვენიერ ფორმაშია „იუტა ჯაზი", მაგრამ მაინც ვერ აჯობა „ორლანდო მეჯიქს", რომელიც მხოლოდ ქებას იმსახურებს. სეზონის დაწყებამდე „ორლანდო" წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს და გუნდს ხეირიანი მხოლოდ დარელ არმსტრონგი შემორჩა, ოუსც ეს მას დიდად არ დასტყობია. ივარგა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა დოკ რივერსმა და მის ხელთ არსებულ მოთამაშეთაგან კარგი გუნდი შეკრა. ეს გუნდი ახლა კარლ მელოუნის „იუტას" უგებს.

„შარლოტ ჰორნეთსი" ნიუ იორკს ესტუმრა და ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში" დასრულა თავისი რვამატჩიანი მოგებების სერია. ჩვეულად გაირწყინა ნიუიორკელმა სპრიუელ-ჰიუსტონის ტანდემმა. სპრიუელმა ოვერტაიმში გუნდის პირველი რვა ქულიდან ექვსი თავის ანგარიშზე ჩაიწერა. ოვერტაიმის შუაში მან ნახტომში ლამაზი ბუერი ჩაგდო და თავისიანები 105:101 დააწინაურა. მეტოქის შეტევისას კი მისმა გამხდარმა, მაგრამ მოქნილმა თანაგუნდელმა მარკუს კემბიმ მძიმე დერეკ კოულმენს დაუფარა და ამ მონაკვეთმა კიდეც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ასევე დაძაბული გამოდგა „ფილადელფია" — „დეტროიტის" შეხვედრა. აქ სტუმრები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იყვნენ წინ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის გრანტ ჰილის და ექსფილადელფიელი ჯერი სტეკჰაუზის მშვენიერი გარჯის წყალობით, მაგრამ აივერსონმა და მისმა ბიჭებმა მოახერხეს გათანაბრება და ოვერტაიმში შეებნენ სტუმრებს. დეტროიტელმა გრანტ ჰილმა მატჩის მიწურულს, 8,4 წამით ადრე, ორი საჯარიმო ჩაგდო და 121:120 გახადა. აქ „ფილადელფია" არ დაიბნა, მისმა უკანასკნელებმა მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც აივერსონმა წამოიწყო — იგი თავხედურად შეიჭრა ფარქვეშ და როცა ყველა მის სროლას ელოდა, აიღო და ბურთი არონ მაკკის გადაწოდა. მაკკიმ თავის მხრივ ერიკ სნოუს მისცა პასი და გუნდის ძირითადმა გამთამაშებელმაც ჯერი სტეკჰაუზის ხელებს ზემოდან ჩააგდო გამარჯვების მომტანი ბურთი.

ირაკლი ფირაგვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
მაიამი	16	8	66,7
ნიუ იორკი	16	10	61,5
ორლანდო	13	11	54,2
ფილადელფია	14	13	51,9
ბოსტონი	10	14	41,7
ვაშინგტონი	8	17	32,0
ნიუ ჯერსი	8	17	32,0
ცენტრალური დივიზიონი			
შარლოტი	16	8	66,7
ინდიანა	15	9	62,5
მილუოკი	14	11	56,0
ტორონტო	13	11	54,2
დეტროიტი	12	13	48,0
კლივლენდი	11	13	45,8
ატლანტა	10	14	41,7
ჩიკაგო	2	20	9,1

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
სან ანტონიო	18	8	69,2
იუტა	16	9	64,0
დენვერი	13	11	54,2
მინესოტა	9	13	40,9
ჰიუსტონი	8	17	32,0
დალასი	8	18	30,0
ვანკუვერი	5	19	20,8
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
ლეიკერსი	22	5	81,5
პორტლენდი	18	7	72,0
სიეტლი	18	7	72,0
ფინიქსი	17	7	70,8
საკრამენტო	13	9	59,1
კლიპერსი	6	18	25,0
გოლდენ სტეიტი	6	18	25,0

სარბიელი

სპორტული ლატარია

"CROCO"

იტალია. სერია C1/a. მე-16 ტური

23 დეკემბერი

001	ალბინოლეფჯ-ლუმეცანე (17³⁰)	1,5	3,0	7,5
002	კარარეზე-ბრეშელო (17³⁰)	2,0	2,6	3,8
003	კრემონეზე-ჩიტადელა (17³⁰)	2,6	2,6	2,7
004	ლეკო-მოდენა (17³⁰)	2,3	2,6	3,1
005	მონტევარკი-ვარეზე (17³⁰)	2,6	2,6	2,7
006	პიზა-ლუკეზე (17³⁰)	2,4	2,5	3,0
007	რეჯანა-ლივორნო (17³⁰)	1,6	2,7	7,0
008	სანდონა-სიენა (17³⁰)	3,8	2,6	2,0
009	სპალ-კომო (17³⁰)	1,6	2,7	7,0

იტალია. სერია C1/b. მე-16 ტური

23 დეკემბერი

010	ასკოლი-არეცო (17³⁰)	2,0	2,5	4,0
011	აველინო-ატლეტიკო (17³⁰)	1,7	2,6	6,0
012	ბენევენტო-ვიტერბეზე (17³⁰)	2,0	2,5	4,0
013	კატანია-ანკონა (17³⁰)	2,4	2,5	3,0
014	კროტონე-ფანდრია (17³⁰)	1,35	3,6	7,5
	0:1	2,0	3,0	2,4
015	ჯულიანოვა-გუალდო (17³⁰)	1,8	2,6	5,0
016	ლოდიჯანი-სტაბია (17³⁰)	2,5	2,6	2,8
017	მარსალა-დი სანგრო (17³⁰)	2,6	2,6	2,7
018	პალერმო-ნოჩერინა (17³⁰)	1,6	2,7	7,0

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-17 ტური

22 დეკემბერი

019	ბეტისი-ვალიადოლიდი	1,5	3,1	7,0
021	ესპანიოლი-ნუმანსია	1,8	2,8	4,4
022	რასინგი-ბილბაო	2,1	2,8	3,3
023	სარაგოსა-დეპორტივო	2,3	2,9	2,8
024	სელტა-მალაგა	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
025	სოსიედადი-ვალენსია	2,3	2,9	2,8
026	რაიო ვალეკანო-ბარსელონა	3,2	2,9	2,1
027	ატლეტიკო-ოვიედო	1,5	3,2	6,5
028	მალიორკა-სევილია	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

საბერძნეთი. მე-12 ტური

22 დეკემბერი

030	ოლიმპიაკოსი-კალამატა (17⁰⁰)	1,05	7,0	14,0
	0:1	1,2	4,7	4,7
031	აპოლონი-კავალა (17⁰⁰)	1,6	3,2	5,0
032	პანილიაკოსი-იონიკოსი (17⁰⁰)	1,9	2,9	3,6
033	პანიონიოსი-ტრიკალა (17⁰⁰)	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
035	პროდეფტიკი-აეკ (17⁰⁰)	4,4	3,1	1,7
036	ეთნიკოსი-ოფი (17⁰⁰)	3,6	2,9	1,9
038	ქსანთი-პანათინაიკოსი	4,7	3,0	1,7

23 დეკემბერი

034	ირაკლისი-არისი	2,3	2,9	2,8

თურქეთი. გადადებული მატჩი

22 დეკემბერი

039	ფენერბაჩე-გალათასარაი	2,8	2,9	2,3

შოტლანდია. გადადებული მატჩი

22 დეკემბერი

040	რეინჯერსი-ჰართსი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

გერმანია. თასის მეოთხედფინალი

22 დეკემბერი

042	კიკერსი-ფრაიბურგი	4,0	3,0	1,8
043	ბაიერნი-მაინცი	1,1	6,0	12,0
044	ჰანზა-შტუტგარტი	2,4	2,9	2,6

ინგლისი. თასის III ეტაპი. გადათამაშება

22 დეკემბერი

052	ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი	1,6	2,9	6,0
053	ნიუკასლი-ტოტენჰემი	2,2	2,9	3,0

კალათბურთი. NBA

22 დეკემბერი

807	ბოსტონი-ატლანტა	1,35	12,0	2,5
808	ნიუ-იორკი-ტორონტო	1,3	12,0	2,8
809	მაიამი-იუტა	1,35	12,0	2,5
810	კლივლენდი-ორლანდო	1,7	12,0	1,7
811	ჩიკაგო-მინესოტა	2,3	12,0	1,4
812	გოლდენ სტეიტი-კლიპერსი	1,4	12,0	2,3

23 დეკემბერი

813	ნიუ ჯერსი-ფილადელფია	1,8	12,0	1,6
814	შარლოტი-ორლანდო	1,15	12,0	4,0
815	ატლანტა-კლივლენდი	1,5	12,0	2,0
816	მინესოტა-სიეტლი	2,3	12,0	1,4
817	ჰიუსტონი-ვაშინგტონი	1,4	12,0	2,3
818	სან ანტონიო-მილუოკი	1,15	12,0	4,0
819	ფინიქსი-დალასი	1,1	12,0	5,0
820	კლიპერსი-საკრამენტო	2,8	12,0	1,3
821	პორტლენდი-გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5
822	ვანკუვერი-დენვერი	2,3	12,0	1,4

ჰოკეი. NHL

22 დეკემბერი

830	ნიუ ჯერსი-ფილადელფია	1,8	4,4	2,2
831	კაროლინა-დეტროიტი	2,2	4,4	1,8
832	ფლორიდა-ატლანტა	1,2	4,4	5,0
833	ვანკუვერი-ვაშინგტონი	1,8	4,4	2,2
834	ანაჰაიმი-ფინიქსი	2,0	4,4	2,0
835	სან ხოსე-ლოს ანჯელესი	1,8	4,4	2,2

23 დეკემბერი

836	ბოსტონი-მონრეალი	1,35	4,4	3,6
837	ოტავა-კაროლინა	1,4	4,4	3,4
838	ბუფალო-კოლორადო	1,9	4,4	2,1
839	ტორონტო-ნიუ ჯერსი	1,8	4,4	2,2
840	აილენდერსი-რეინჯერსი	2,2	4,4	1,8
841	ფილადელფია-ატლანტა	1,2	4,4	5,0
842	პიტსბურგი-ტამპა ბეი	1,4	4,4	3,4
843	ნეშვილი-სენტ ლუისი	2,2	4,4	1,8
844	ჩიკაგო-დალასი	2,2	4,4	1,8
845	კალგარი-ედმონტონი	1,9	4,4	2,1

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოცხადებულ ტურში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, ფორტის — თამაშო სახეობაში, მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მოკრივეებს დააყარეს, ქართლელებს მოეფერნენ, ვეტერანები კი გაახარეს

ალბათ ჩვენს მოკრივეებს ერჩივნათ მათთვის მუშტები დაეყარათ და არა კრიტიკის ქარცეცხლი, რაკიღა, ხომ გაგიგონიათ, ენით დაკოდილს ცულით დაკოდილი სჯობიაო. ჩვენს მოკრივეებს, უფრო სწორედ ამ სახეობის ფედერაციას ამგვარი კრიტიკის ქარცეცხლი თავს დაატეხეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე. ამ სხდომაზე ბევრი საინტერესო რამ ითქვა და შესაბამისი გადაწყვეტილებები თუ დადგენილებებიც მიიღეს, მაგრამ აქ მხოლოდ სამ საკითხზე შევჩერდებით. რაკი სხდომაზე საუბარი კრივით დავიწყეთ, კრივითვე გავაგრძელებთ.

კრივის ფედერაციის ახალი გენერალური მდივანი კოტე ბერძენიშვილი შეკრებილთ სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა წარუდგინა და კარგადაც დაახასიათა. იმედიც გამოთქვა, რომ იგი თავისი წინამორბედივით ცუდად არ იმუშავებდა.

აღმასკომის სხდომაზე უნდა მოესმინათ კრივის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ ფალიანის ინფორმაცია **„ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშებისთვის მოკრივეთა გუნდის მზადების მიმდინარეობის შესახებ“**, მაგრამ ამ სახეობის თავკაცი საპატიო მიზეზის გამო სხდომას ვერ დაესწრო. ამიტომ ეს საქმე კოტე ბერძენიშვილმა ზეპირი გამოსვლით ითავა. მან თქვა, რომ წლეულს სხვადასხვა დონის ევროპის პირველობებზე ჩვენმა მოკრივეებმა ხუთი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ფოთელმა ვლადიმერ ჭანტურიამ ოლიმპიური ლიცენზიაც დაიმსახურა. მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლებას კიდევ სამი-ოთხი მოკრივე მოიპოვებს. ასეთი მიზნის მიღწევა შეუძლიათ დავით ადამაშვილს, პაატა გვასალიას, გოჩა აბაშიძეს და ლაშა იოსელიანსო.

კოტე ბერძენიშვილმა საზოგადოება იმითაც დააიმედა, რომ ჭანტურია სიდნეიდან ოლიმპიური მედლით დაგვიბრუნდებაო. ოღონდ, მისი თქმით, ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იქნება დაფინანსება, თუ მოკრივეებს ექნებათ თანამედროვე ვარჯიშისთვის შესაფერისი დარბაზი, ინვენტარი, საჭურველი, შეკრებები და შეჯიბრებებში მონაწილეობის სახსრები.

ბერძენიშვილმა აღმასკომის წევრებს ისიც მოახსენა, რომ წლეულს ერთადერთი შეკრება გვქონდაო. მისი თქმით, აზერბაიჯანელები იხვეწებიან, თქვენ თუ თავი არა გაქვთ, ადამაშვილი და გვასალია ჩვენ დაგვითმეთ, ჩვენ გავზრდით და ვუპატრონებთო.

კამათში გამოსულებმა, აბა, თქვენ რა შუაში ხართ, ახალი კაცი ბრძანდებით ფედერაციაშიო, მაგრამ მაინც კრიტიკის ქარბორბალა დაატრიალეს.

კრივის ფედერაციასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ითქვა, „სეოკ-ის და კრივის ფედერაციის ურთიერთობის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა და ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვერ ფლობენ და აკონტროლებენ სიტუაციას, სეოკ-ის ხელმძღვანელობას აწვდიან ურთიერთგამომრიცხავ, წინააღმდეგობრივ ინფორმაციებს; ქაოსური მდგომარეობაა შექმნილი საერთაშორისო ფედერაციასთანაც და საერთაშორისო, მათ შორის სალიცენზიო ტურნირების საორგანიზაციო კომიტეტთან ურთიერთობაში, დაქვეითებულია გარკვეულ უბნებზე განაწილებულ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობა; ვერ მოხერხდა წამყვანი მოკრივეების მიგრაციის და მათი პროფესიონალებში გადასვლის შეჩერება და სხვ“.

უნდა ითქვას, და[illegible]ლებაში ეს „და სხვ“ მეტად რბილ[illegible] ჩაწერილი და სინამდვილეში იგი ძალზე ტევადი და მძაფრი იყო. მაგრამ რაკი დადგენილებაში ასე ჩაიწერა, ალბათ ასეა საჭირო და შორს აღარც ჩვენ წავალთ. თუმცა, ერთს კი აღვნიშნავთ — აღმასკომის წევრები ფრიად დაეჭვებულან ზოგიერთ სპორტსმენზე, ნეტა ოლიმპიურ სტიპენდიას რაში ვუხდით, როცა ვერ გაგვიგია, რეალურად რისი შემძლენი არიანო. უფრო კონკრეტულად ეს ითქვა გვასალიაზე, რომელსაც თურმე ზოგჯერ ტრავმა უშლის ხელს, ხან მსაჯები „წვავენ“. ხან რა ხდება და ხან რა.

ისიც მწვავედ ითქვა, რომ ამერიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრძოლაში გამოსაცდელად გვასალიას მწვრთნელის ნაცვლად ფედერაციის პრეზიდენტი გაჰყვაო. ამ კურიოზულმა ამბავმა, ცხადია, აღმასკომის წევრები სახტად დატოვა.

მოკრივეთა საქმეს, რაც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა, მოჰყვა **„სეოკ-ის შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის გ. ხაჩიძის ინფორმაცია 1997-1999 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ“.**

მისი გამოსვლის მერე მიღებულ დადგენილებაში ითქვა, „რომ საანგარიშო პერიოდში სამხარეო ორგანიზაციის მიერ ბევრი საინტერესო და სასარგებლო საქმიანობაა გატარებული ოლიმპიური მოძრაობის და ოლიმპიზმის, სპორტისა და მასობრივი სპორტის დანერგვისა და დაფუძნების საქმეში“.

დადგენილებაში სხვაც ბევრი ითქვა, მაგრამ ქართლელებს გაცილებით მეტად მოეფერნენ სიტყვიერად და მათი მუშაობა დამაკმაყოფილებლადაც შეაფასეს, რაიონის ხელმძღვანელობას კი ოლიმპიზმის თანადგომისთვის მადლობა შეუთვალეს.

სხდომაზე სულ ბოლოს იმსჯელეს **„ვეტერან ოლიმპიელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“**

სოციალურად დაუცველ ვეტერანებს შორის ბევრი ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები, რომელთაგან მრავალს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (ფიზიკური დატვირთვები, ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესები, რიგი სხვა ფაქტორები), ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში შეერყათ ჯანმრთელობა. ამიტომ აღმასკომის წევრებმა მიიღეს დადგენილება, რომ „ქვეყნისა და ხალხის წინაშე ქართველ სპორტსმენთა მრავალი თაობის ღვაწლისა და დამსახურების, სპორტის, როგორც საქმიანობის სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სეოკ-მა წესდებით მინიჭებული საკანონმდებლო უფლების გამოყენებით და მრავალ ქვეყანაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტის წინაშე დააყენოს საკითხი ზემოაღნიშნული კატეგორიის ვეტერანებისთვის სოციალური დაცვის სპეციალური წესის შემოღების აუცილებლობის შესახებ“.

ამ საკითხის სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტამდე მიზანშეწონილად ჩაითვალა არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან 2000 წლის პირველი იანვრიდან დაენიშნოთ ოლიმპიური პენსია ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებსა და პრიზიორებს: მამაკაცებს 65 წლის, ქალებს კი 55 წლის შესრულების შემდეგ.

ასეთი დღეისთვის აღმოჩნდა თერთმეტი ვეტერანი, რომელთაგან ჩემპიონები მიიღებენ 120, მეორე პრიზიორები 100, მესამე კი 80 ლარს.

გამონაკლისის სახით, როგორც ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის მონაწილე, ოლიმპიურ პენსიას მიიღებს ჩვენი ვეტერანი მფრინავი მოთხილამურე კობა წაქაძე. მისი პენსია კი ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორისას გაუტოლდა.

„ცხელ გულზე“ პირველი კომენტარი გააკეთა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა რობერტ შავლაყაძემ, თავადაც გაჭირვებული ოლიმპიური კომიტეტი გაჭირვებულ ოლიმპიელებს ეხმარებაო.

ავთანდილ ჭყვიშელი

ტაისონის მეტოქეს კანდელაკი გამოცდის

ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი კანდელაკი ლონდონიდან ისევ გამარჯვებული დაბრუნდა

18 დეკემბერს ლონდონში გიორგი კანდელაკმა მორიგი ბრძოლა გამართა პროფეში და კვლავ გაიმარჯვა. ამჯერად მისი მსხვერპლი ინგლისელი დიკ მაკკოფორტი გახდა. თუ წინა შეხვედრებში გიორგი იოლად, ნოკაუტებით უმკლავდებოდა მეტოქეებს, ახლა ბრიტანელის დასამარცხებლად რვა რაუნდი დასჭირდა. თბილისში დაბრუნებულ კანდელაკს პირველად სწორედ ამაზე ვკითხეთ.

— მაკკოფორტის დანოკაუტებაც შემეძლო, მაგრამ მწვრთნელებს ჩემი გამძლეობის შემოწმება სურდათ და ბრძოლის წინ მითხრეს, ეცადე ბოლომდე იჩხუბოო. მეც სხვა გზა არ მქონდა, რვა რაუნდი ვიჩხუბე.

— კმაყოფილნი დარჩნენ შენი ფიზიკური მომზადებით?

— ჩინებულ ფორმაში ხარო, შემაქეს. მართალი გითხრათ, თავიდან დაღლის მეშინოდა, თუმცა ლენოქს ლუისის კოლეჯში ვარჯიშს უკვალოდ არ ჩაუვლია — რვა რაუნდს იოლად გავუძელი.

— ახლა მეტოქეზეც გვითხარი.

— მაკკოფორტს პროფებში ჩატარებული თოთხმეტი ბრძოლიდან თორმეტი ჰქონდა მოგებული. კარგი მოკრივეა, მაგრამ ზემოთაც გითხარით, იოლად მოვუგე. ამას ქულებში დიდი სხვაობაც ადასტურებს — 157-37 ჩემს სასარგებლოდ.

— ცხადია, საახალწლოდ დაისვენებ. მერე რას აპირებ, რინგზე როდის გახვალ?

— 7 იანვარს გავემგზავრები ლონდონში. 29-ში ჩემი მეგობარი ჯულიუს ფრენსისი მაიკ ტაისონს უნდა ეჩხუბოს და მთხოვა, მოსამზადებელ პერიოდში მისთვის სპარინგ-მეტოქეობა გამეწია. უარი ვერ ვუთხარი, თანაც მასთან ვარჯიში მეც ძალიან წამადგება. ჩემი შემდეგი ბრძოლა კი 12 თებერვალსაა დაგეგმილი. ჰოდა, ლონდონში დავრჩები და იქ მოვემზადები.

— ფრენსისს-ტაისონის შერკინებაში გამარჯვებას ვის უწინასწარმეტყველებ?

— ფრენსისს კი აქვს გამარჯვების იმედი, მეც გულით ვქომაგობ, მაგრამ ტაისონი მაინც ტაისონია.

სოსო კოტორაშვილი

პრეზიდენტის სახელზე ქართველებმაც იხეირეს

ამ დღეებში ბაქოში გაიმართა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) პრეზიდენტ ანვარ ჩაუდრის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა მოკრივეთა შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა სხვა 11 გუნდთან ერთად. ჩვენებურებს თავი არ შეურცხვენიათ. პაატა ვარდუაშვილი (63) და გაგა ბოლქვაძე (+91) ტურნირის ჩემპიონები გახდნენ. 63 კილოში ქართული ფინალიც კი გაიმართა. ვარდუაშვილის მეტოქე მალხაზ ბერკაცაშვილი გახლდათ (აღსანიშნავია, რომ ორივე ვარიანელი, გიორგი კანდელაკის მოსწავლეა). ასევე მეორე ადგილზე გავიდა ბადრი კერესელიძე (60), ხოლო ზურაბ უჩანეიშვილი (81) — მესამეზე.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს 7-კაციანი ნაკრები მეორე იყო. მან წინ მხოლოდ მასპინძლები გაუშვა. მესამე ადგილი აშშ-ის ნაკრებმა დაიკავა.

გოლოტას მწვრთნელი დაიღუპა

აიოვაში, დავენპორტის ახლოს, ავარია შეემთხვა პოლონელ-ამერიკელ მძიმეწონოსან მოკრივე ანჯეი გოლოტას. „მერსედესი“, რომელსაც 31 წლის გოლოტა მართავდა, ყინულიან გზაზე მოცურდა და გზისპირა ნაგებობას შეასკდა. გოლოტას გვერდით მჯდომი მისი მწვრთნელი თადეუშ გოდლევსკი გარდაიცვალა.

აღმზრდელისა და მწვრთნელის დაღუპვამ დიდად დაამწუხრა გოლოტა. პოლიციამ უკვე გამოიკვლია შემთხვევა და დაადგინა, რომ მოკრივეს საჭესთან არ ჩასძინებია და ავარიის მთავარი მიზეზი რთული მეტეოროლოგიური პირობები ყოფილა.

ვარშავაში დაბადებული გოლოტა ახლა ნიუ ჯერსიში, ჯერსი სიტიში ცხოვრობს. ამერიკაში რიდიკ ბოუსთან ორი ბრძოლით დაიგდო სახელი. ამ ორივე ბრძოლაში ქამარსქვემოთა დარტყმების გამო ჩაეთვალა წაგება, თუმცა კი, იგი კვლავაც რჩება მძიმეწონოსანთა საუკეთესო ათეულის ერთადერთ თეთრკანიან წარმომადგენლად და აქტიურ მოკრივედ 34 მოგებითა და 4 მარცხით.



ანჯეი გოლოტა

სასწრაფოდ იყიდება

ამერიკული, ვერცხლისფერი სპორტული „ფორდ პრობი“ 1993 წელს გამოშვებული, ბრწყინვალე მდგომარეობაში. 2 კარი, 4 ცილინდრი, ავტომატიკა, კონდიციონერი, ლუკი. ფასი 9 500 დოლარი.

ტელ: 68-06-48

„როდ ლეივერი“ მოინათლა



როდ ლეივერი

ავსტრალიის ღია პირველობის მასპინძელი „მელბურნ პარკის“ ცენტრალური კორტი ამიერიდან უსახელო აღარ იქნება — იანვრიდან მას ავსტრალიისა და, ალბათ, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი კაცის, როდ ლეივერის სახელი ერქმევა.

ტურნირის ორგანიზატორების განცხადებით, დიდი სლემის ორჯერ მოგები მოთამაშის პატივსაცემად ცენტრალური კორტი „როდ ლეივერ არენად“ იწოდება.

„ძალიან გავიხარე ამ ჩინებული საჩუქრით. ეს ჩემი საჩოგბურთო კარიერის დამაგვირგვინებელი მიღწევაა“ — ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, თავად ლეივერს ეკუთვნის.

ავსტრალიელი ჩოგბურთის მამების მსგავსი გადაწყვეტილება უნიკალური და უმაგალითო ნამდვილად არ არის — ბოლო წლებში დიდი სლემის სხვა ტურნირების ცენტრალურმა კორტებმაც იცვალეს სახელი წარსულის დიდი ჩემპიონების მოსაგონებლად.

როლან გაროსზე ცენტრალური კორტი 20-იანი წლების ვარსკვლავის, სიუზან ლენგლენის სახელობისაა, აშშ-ის ღია პირველობის მასპინძელ „ფლაშინგ მედოუზზე“ კი ასევე შვკანიანი, აწ შიდსისგან გარდაცვლილი არტურ ეში გამოარჩიეს.

რაც შეეხება ლეივერს, მისი მიღწევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა: მეტსახელად „როკჰემპტონელი რაკეტა“ ერთადერთი ჩოგბურთელია ისტორიაში, რომელმაც დიდი სლემის, ესე იგი, სეზონის მანძილზე ოთხივე „მეიჯორის“ მოგება ორჯერ მოახერხა. ამავდროულად ის პირველი ჩოგბურთელია, რომელმაც მოპოვებული სპრიზოების რაოდენობით მილიონდოლარიან ზღვარს გადააბიჯა.

61 წლის ავსტრალიელს შარშან ივლისში გულის შეტევა მოუვიდა და რამდენიმე თვე საავადმყოფოშიც კი გაატარა, თუმცა ამჟამად თითქმის გამოჯანმრთელდა და გასართობად ჩოგბურთის თამაშსაც ახერხებს.

„სრულ გამოჯანმრთელებამდე ცოტა კიდევ მიკლია, მაგრამ მთლიანობაში საკუთარი შედეგებით უკმაყოფილო სულაც არ ვარ — ვგრძნობ, რომ საქმეს ბოლომდე მივიყვან“ — განაცხადა ლეივერმა.

ფული, ბევრი ფული!

WTA ტურზე მოასპარეზე ჩოგბურთელი ქალები გაისად კიდევ უფრო მეტად გაისქელებენ ჯიბეს: 2000 წლის სეზონის საერთო საპრიზო ფონდი 3 მილიონ დოლარზე მეტით გაიზარდა და 62 ტურნირისთვის 47 მილიონი „მწვანე“ შეადგინა.

ჩოგბურთელი ქალები უკვე დიდი ხანია, კაცებთან უფლებებში გათანაბრებას ითხოვენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, საპრიზოების რაოდენობის გაზრდაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ WTA ტურს ახალგაზრდა და საინტერესო ვარსკვლავების მთელი კოჰორტა — მარტინა ჰინგისი, ანა კურნიკოვა, დები უილიამსები და სხვები ჰყავს, კაცების ATP ტურს კი მოსაწყენად მიიჩნევენ, ძლიერი სქესის წარმომადგენლები მაინც გაცილებით მდიდრებად რჩებიან.

ქალების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მოხმარდა WTA ტურის ახალი მთავარი სპონსორის — „სანექსისგან“ მიღებული მილიონები და ორგანიზაციის თავკაცი ბარტ მაკგუაიერი არც ამაზე აპირებს შეჩერებას.

„ჩვენს მოთამაშეებს შესაძლებლობა აქვთ, საპრიზოებით მეტი ფული იშოვონ, ვიდრე სპორტის სხვა სახეობების ათლეტმა ქალებმა. ქალთა ჩოგბურთს თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ხანა უდგას პაექრობის დონისა და პოპულარობის მხრივ, რასაც მაყურებელთა სარეკორდო მაჩვენებელი და გაზრდილი სატელევიზიო რეიტინგებიც მოწმობს. ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ აღმავლობის შედეგებს ტურნირებსა და ქომაგებთან ერთად მოთამაშეებიც იმკიან“.

მარტინა ჰინგისი გაისად კიდევ უფრო გამდიდრდება

2000 წლიდან ტურის I, უმაღლესი რანგის ტურნირების საპრიზო ფონდი 80 ათასი დოლარით გაიზრდება და 1080000-ს შეადგენს, II რანგის ტურნირები კი მის მონაწილეებს 35 ათასით მეტს, სულ 635 ათას დოლარს შესთავაზებს.

განსაკუთრებით გამოსაყოფია ორი, ისეც დიდი ამერიკული შეჯიბრის თავგამოდება. გაისად „ნიუსუიკის ჩემპიონთა თასის“, იგივე ინდიან უელსის პირველობის საპრიზო ფონდი 600 ათასით გაიზრდება და 2 მილიონი დოლარი გახდება. „ერიქსონ ოუფენი“, ყოფილი ლიპტონის ტურნირი კი ქალებს ნახევარი მილიონით მეტს, 2,525 მილიონ დოლარს დაურიგებს.

ავთანდილ სვანიძე

გთავაზობთ კარიერის მანძილზე ყველაზე ხელმოთბობილი დიაცი ჩოგბურთელების სიას:

1. შტეფი გრაფი (გერმანია)	21 895 277 $
2. მარტინა ნავრატილოვა (აშშ)	20 344 061
3. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	14 927 563
4. მონიკა სელეში (აშშ)	11 750 858
5. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	11 623 276
6. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	11 249 134
7. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	9 489 194
8. კრის ევერტი (აშშ)	8 896 195
9. გაბრიელა საბატინი (არგენტინა)	8 785 850
10. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	8 267 333

გავარდნით — გავარდნით, გასვლით — ჯერ ვერაფერი

ევროპის თასის მეოთხე ტურმა, რომელიც გასულ უქმეებზე ჩატარდა, უსენსაციოდ ჩაიარა. მასპინძლებმა სტუმრებზე გაცილებით უკეთ ითამაშეს და რვა მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს, სამში მომხდურებმა იმარჯვეს, ერთიც გადაიდო. ახლა ქრისტიანულ სამყაროში შობა-ახალი წლის არდადეგები იწყება და მორაგბეებიც შეისვენებენ. ტურნირი გაისად განახლდება და ბოლო ორი ტურიც მაშინ ჩატარდება. უნდა ითქვას, რომ მეოთხე ტურში ყველაზე უკეთ ინგლისელებმა იასპარეზეს. მათ ოთხი გამარჯვება მიითვალეს ერთი მარცხის სანაცვლოდ. ირლანდიური გუნდებიდან ორმა მოიგო, ერმამ კი წააგო. ფრანგებმა და უელსელებმა ოქროს შუალედს „მიაგნეს“ (შესაბამისად, სამ-სამი და ორ-ორი მოგება-წაგება). შოტლანდიელებს და იტალიელებს კი ცუდი დრო დაუდგათ — მათ ყველა შეხვედრა დათმეს.

ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ჯერ კიდევ არც ერთი გუნდი არ უნდა ჩაითვალოს მეოთხედფინალში გასულად. რამდენიმე კი უკვე „განაღდებული“ აქვს ამ ტურნირში მხოლოდ ორი მატჩის თამაში. „პადოვას“ და „ოლსტერს“ მეოთხედფინალის საგზურის მოპოვების იმედი გადაწურული აქვთ, „ბურგუენი“, „პონტიპრიდი“, „ჰარლიქვნსი“, „ტრევიზო“ და „ნითი“ თავ-თავიანთ ჯგუფებში თეორიულადაც ვეღარ გახდებიან პირველნი, ხოლო ორ საუკეთესო მეორეადგილოსანში სასწაული თუ მოახვედრებთ.

დღევანდელი ვითარებით შემდეგ ეტაპზე თამაშის მშვენიერი (თითქმის ასპროცენტიანი) შანსი აქვთ „ტულუზს“, „უოსპსს“ და „მანსტერს“. მათთან ერთად მეოთხედფინალში ვიხილავთ (სავარაუდოდ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) „სტად ფრანსეს“, „ლიანელის“, „მონფერანს“, „კარდიფს“ და „ნორტჰემპტონს“.

A ჯგუფში გაგრძელდა „სტუმართმოძულეობა“ და ორივე მატჩი კვლავაც მასპინძლების სასარგებლოდ დასრულდა. ახლა ოთხივე გუნდს ოთხ-ოთხი ქულა აქვს, რაც ამ ტურნირის ისტორიაში პირველი შემთხვევაა და ოთხივე ინარჩუნებს მეოთხედფინალში გასვლის მცირედ შანსს. საუკეთესო მდგომარეობაში ფრანგები არიან, რომლებსაც ბურთების ყველაზე კარგი შეფარდება აქვთ და სხვებზე ოდნავ უკეთაც გამოიყურებიან. „სტად ფრანსეს“ ამ ტურში შეეძლო „ჯგუფის ტრადიცია“ დაერღვია, რისთვისაც ერთადერთი ქულა დაკლდა. პირველი ტაიმის შემდეგ ის 8 ქულას აგებდა, მაგრამ პულ-ჯონსის ლელოთი და დომინგესის გარდასახვა-საჯარიმოთი იქნებ მოეგო, რომ არა ფარელის ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმა. „ლესტერმა“ წაგებული პირველი ტაიმის (10:13) შემდეგ შეძლო მატჩის ბედის შემობრუნება. აქაური მეორეადგილოსანი, ალბათ, საუკეთესო რვა გუნდში ვერ მოხვდება...

გუნდების თანმიმდევრობა არ შეცვლილა B ჯგუფში, რადგან ერთი თამაში გადაიდო. „ტულუზმა“ მიწასთან გაასწორა პადოველი მოყვარულები. ფრანგებმა 7 ლელო გაიტანეს და ახლა პირველი ადგილისა და მეოთხედფინალში მასპინძლობის უფლების დასაბეგებლად ერთი მოგებაღა სჭირდებათ.

C ჯგუფში ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია ევროპის თასის შარშანდელმა მფლობელმა „ოლსტერმა“. ამჯერად ის სტუმრად შერცხვა „ლიანელისთან“. ირლანდიელებმა ორი ლელო გაუშვეს, თავად ვერც ერთი გაიტანეს და კვლავინდებურად ტურნირის ერთადერთ გუნდად რჩებიან, ვინც ქულები მხოლოდ საჯარიმოებით მოიხვეჭა, „უოსპსმა“ „ბურგუენს“ ორივე ტაიმი შვიდქულიანი უპირატესობით მოუგო. ჯგუფში პირველი ადგილისთვის ინგლისელები და უელსელები იბრძოლებენ, რომლებიც ტურნირში საუკეთესო დაცვით გამოირჩევიან. თითოეულმა მხოლოდ სამი ლელო გაუშვა. თუმცა „ოლსტერს“ ვერც გააქვს...

„პონტიპრიდთან“ წაგებამ და თავისი ერთ-ერთი მორკინალის, ნონეს ორწლიანმა დისკვალიფიკაციამ (როგორც შემდეგ გაირკვა, სრულიად უსამართლომ) საქმე ერთობ გაუჭირვა „კოლომიეს“. ტულუზის გარეუბნის მორაგბეებმა ირლანდიელებთან ვერაფერი გააწყვეს და თითქმის უბრძოლველად დამარცხდნენ. „მანსტერისთვის“ კი ეს ზედიზედ მეათე სეზონური გამარჯვებაა და ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაც ითვლება. D ჯგუფის მეორე მატჩში მხოლოდ ჩარვისის იმედად (5 ს. და ს.) მყოფმა „პონტიპრიდმა“ ინგლისურ „სარასენთან“ წაგო და ფაქტობრივად მეოთხედფინალის საგზურსაც დაემშვიდობა. ინგლისელებს კი მცირე იმედი კიდევ შერჩათ.

წინა ტურში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო „მონფერანმა“ და E ჯგუფის ლიდერობაც არ დათმო. „ჰარლიქვინსს“ ფრანგებმა ოთხი ლელო გაუტანეს, ინგლისელთაგან კი ქულები მხოლოდ შუსტერმა მოიპოვა საჯარიმო დარტყმებით. იოლი გასეირნება მოიწყო აპენინების ნახევარკუნძულზე „კარდიფმა“, რომელმაც „ტრევიზოს“ პირველივე ტაიმში მოუღო ბოლო (23:6) და შესვენების შემდეგაც ლაღი ბურთაობით „დაატკბო“ იტალიური გუნდის ქომაგები. ერთ-ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი სავარაუდოდ სწორედ ამ ჯგუფიდან იქნება.

ტურის ერთადერთი მოულოდნელობა (და არა სენსაცია) შოტლანდიაში მოხდა, სადაც „ედინბურგმა“ სამარცხვინოდ წააგო „ნორტჰემპტონთან“. პირველი ტაიმის მერე ტაბლოზე მხოლოდ სამიანები ენთო, 33:3 — ინგლისელები სკოტებს აცამტვერებდნენ. მატჩის სცენარი არც მეორე ორმოცწუთეულში შეცვლილა, თუმცა სტუმრებმა მასპინძლებს ოდენ ორი გარდასახული ლელო აკმარეს (შესვენებამდე ხუთი ლელო გაიტანეს და ოთხი გარდასახეს). პრესტიჟის ლელოს გატანა ედინბურგელებმაც მოახერხეს, მაგრამ თავიანთი ქომაგების ლანძღვა-გინებას მაინც ვერ გადაურჩნენ. „გრენობლმა“ კი „ნითს“ აჯობა და F ჯგუფში პირველობისთვის ბრძოლასაც შერჩა, უელსელები კი — გამოთიშა.

გაიოზ თალაკვაძე

უოსპსი — ბურგუენი. სებასტიან შაბელი (7) მარკ დენეის გადაეღობა

ევროპის თასი

IV ტური

A ჯგუფი

ლესტერი (ინგლისი) 34:21 გლაზგო (შოტლანდია)

ლენსტერი (ირლანდია) 24:23 სტად ფრანსე (საფრანგეთი)

B ჯგუფი

ბათი (ინგლისი) — სუონსი (უელსი)

გადაიდო

ტულუზი (საფრანგეთი) — 51:0 პადოვა (იტალია)

C ჯგუფი

ლიანელი (უელსი) 20:3 ოლსტერი (ირლანდია)

უოსპსი (ინგლისი) 37:23 ბურგუენი (საფრანგეთი)

D ჯგუფი

პონტიპრიდი (უელსი) 18:22 სარასენი (ინგლისი)

მანსტერი (ირლანდია) 23:5 კოლომიე (საფრანგეთი)

E ჯგუფი

ტრევიზო (იტალია) 16:40 კარდიფი (უელსი)

მონფერანი (საფრანგეთი) 32:9 ჰარლიქვინსი (ინგლისი)

F ჯგუფი

გრენობლი (საფრანგეთი) 21:10 ნითი (უელსი)

ედინბურგი (შოტლანდია) 8:47 ნორტჰემპტონი (ინგლისი)

სატურნირო ვითარება

A ჯგუფი

სტად ფრანსე	4	2	0	2	124:78	4
ლესტერი	4	2	0	2	101:103	4
კლაზგო	4	2	0	2	98:105	4
ლენსტერი	4	2	0	2	74:111	4

B ჯგუფი

ტულუზი	4	4	0	0	168:45	8
სუონსი	3	2	0	1	79:74	4
ბათი	3	1	0	2	90:57	2
პადოვა	4	0	0	4	51:212	0

C ჯგუფი

უოსპსი	4	4	0	0	99:57	8
ლიანელი	4	2	0	1	91:41	6
ბურგუენი	4	1	0	3	74:99	2
ოლსტერი	4	0	0	4	27:94	0

D ჯგუფი

მანსტერი	4	4	0	0	121:64	8
სარასენი	4	2	0	2	124:107	4
პონტიპრიდი	4	1	0	3	85:120	2
კოლომიე	4	1	0	3	53:9—	2

E ჯგუფი

მონფერანი	4	3	0	1	108:48	6
კარდიფი	4	2	1	1	108:110	5
ჰარლიქვინსი	4	1	1	2	71:95	3
ტრევიზი	4	1	0	3	69:103	2

F ჯგუფი

ნორტჰემპტონი	4	3	0	1	118:48	6
გრენობლი	4	2	0	2	73:94	4
ედინბურგი	4	2	0	2	70:117	4
ნითი	4	1	0	3	85:87	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიტ გრო ისტადი

ბიორნ დელისა და ბიორნდალენის გარეშე

ოლიმპიური ჩემპიონის ოლე ბიორნდალენის გარეშე ჩაიარა სლოვენიის ეტაპმა ბიატლონში. ერთკვირიანი არდადეგები ძვირი დაუჯდა ნორვეგიელ სპორტსმენს — მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში ერთბაშად ოთხმა ბიატლონისტმა გადაასწრო. თუ გერმანელი სვენ ფიშერის გალიდერება ჩვეულებრივ მოვლენად შეიძლება ალიქვას, რუსი დრაჩოვის ლიდერთა მარაქაში გარევა ნამდვილად სენსაციაა, რაც ძირითადად ბოლო შეჯიბრში დრაჩოვის გამარჯვებამ განაპირობა. ამ 15-კილომეტრიან რბოლაში მეორე იყო ბელარუსი საშურინი და მხოლოდ მესამე თასის შარშანდელი მფლობელი სვენ ფიშერი.

საერთო ჩათვლა

1. სვენ ფიშერი — 14
2. პაველ როსტოვც 119
3. ფრანც ლუკი —
4. ვლადიმერ დრაჩ 108
5. ოლე ბიორნდალენ — 106
6. ფროდე ანდრესენი — 105

თასისთვის ბრძოლაში ქალებში ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო შვედმა მაგდალენა ფორსბერგმა. შვედი ნებისმიერ შეჯიბრებაში ოთხეულს მიღმა არ რჩება და, ცხადია, ამ სტაბილურობამაც განაპირობა მისი ლიდერობა. სპრინტი, რომელიც ასევე პოკლიუკაში გაიმართა, მოიგო მოთხილამურე ქალთა შორის ყველაზე ლამაზმა და ყველაზე ახალგაზრდა ნორვეგიელმა მარიტ გრო ისტადმა. მეორე იყო უკრაინელი ელენა პეტროვა, მესამე — ბულგარელი ირინა ნიკულჩინა, მაგდალენა ფორსბერგი კვლავ საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. ეგრეთწოდებული მასსტარტის შემდეგ, რომელშიც საერთო ჩათვლაში საუკეთესოები მონაწილეობენ, ფორსბერგმა შეინარჩუნა ლიდერობა.

საერთო ჩათვლა

1. მაგდალენა ფორსბერგი — 168
2. ალიონა ზუბრილოვა — 144
3. უში დიზლი — 123
4. ელენა პეტროვა — 107
5. კორინ ნიოგრე — 106
6. ირინა ნიკულჩინა — 93

სათხილამურო რბოლებსაც მოაკლდა ეშხი რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ნორვეგიელი ბიორნ დელის არყოფნის გამო. თუმცა ნორვეგიელები ამ სერიოზული დანაკლისის მიუხედავად არავის უთმობენ ლიდერის პოზიციებს — 261 ქულით თასისთვის ბრძოლაში წინ არის ალსგარდი, მეორე ადგილზეც ნორვეგიელი ბიერვიგია — 213 ქულა. წლევანდელი სეზონის სენსაციაა ესპანელი მულეგის მესამე ადგილი და 190 ქულა.

ქალებში რუსები მძლავრობენ. 296 ქულით ლიდერობს ლარისა ლაზუტინა, თასის შარშანელ მფლობელს, ნორვეგიელ მარტინსენს 231 ქულა აქვს, შემდეგ მოდიან შმიგუნი (225), დანილოვა (221) და გავრილიუკი (184)

ზაკოპანეში ტრამპლინიდან მხტომელები ასპარეზობდნენ. წლეულს მათ ახალი ლიდერი ჰყავთ. გერმანელი მარტინ შმიტი, როგორც ჩანს, მიუწვდომელი იქნება დანარჩენებისთვის. სეზონი ეს-ეს არის დაიწყო და მასსა და მეორე ადგილზე მყოფ ავსტრიელ ვიდჰოლცს შორის უკვე 200-ქულიანი სხვაობაა. ლიდერს 560 ქულა აქვს. მესამე ადგილზეც ავსტრიელი გოლდბერგერია (289). ჯერჯერობით მხოლოდ მეოთხეა ფინელი აჰონენი.

ირაკლი ბერიაშვილი

რამ გადაგრია, ყაზახო?!

20 დეკემბერი

კაროლინა — კოლორადო 2:4

0:1 2:0 0:3

0:1 ოზოლინში 14'16 (8); 1:1 კაპანენი 22'12 (13); 2:1 რობერტსი 29'04 (6); 2:2 ოზოლინში 47'17 (9); 2:3 როლსტონი 54'33 (8); 2:4 ფორსბერგი 58'26 (3)

მონრეალი — პიტსბურგი 5:1

3:0 2:1 0:0

1:0 ბრიუნე 4'33 (2); 2:0 პულენი 11'41 (5); 3:0 ტორნტონი 13'50 (2); 4:0 დაიპიუსი 31'05 (5); 4:1 კასპარაიტისი 32'38 (1); 5:1 კორსონი 39'52 (2)

სან ხოსე — დეტროიტი 3:4

1:0 1:2 1:2

1:0 კოროლიუკი 11'5, (9); 1:1 შენაპანი 26'08 (8); 1:2 ჰოლმსტრიომი 27'51 (5); 2:2 ნოლანი 31'18 (24); 2:3 ფიოდოროვი 40'35 (10); 3:3 ნოლანი 43'01 (25); 3:4 შენაჰანი 47'43 (19)

ფლორიდა — ტორონტო 4:6

0:2 2:0 2:4

0:1 ანტროპოვი 1'28 (2); 0:2 სუნდინი 10'10 (15); 1:2 მელანბი 34'25 (6); 2:2 უიტნი 39'41 (13); 3:2 ბურე 40'40 (21); 4:2 უიტნი 42'22 (14); 4:3 კოროლიოვი 45'10 (5); 4:4 იუშკევიჩი 47'30 (2); 4:5 ანტროპოვი 50'03 (2); 4:6 ანტროპოვი 53'37 (4)

ფლორიდელ პაველ ბურეს გასულ კვირას მართლაც არ ჰყავდა ბადალი, მაგრამ ორშაბათს რუსი საკუთარი ქომაგების თვალწინ ყაზახმა ახალბედამ, ნიკოლაი ანტროპოვმა დაჩრდილა. არავინ იფიქროს, ამჯერად ბურე უნიათოდ გარჯილაო. „პანტერების" ლიდერი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო, ზედიზედ მეხუთე თამაშში გატანილ გოლს (კლუბის ახალი რეკორდი) ორი პასიც დაამატა. მესამე პერიოდში მისი ძალისხმევით ფლორიდამ თითქოს გარღატეხაც შეიტანა თამაშში, მაგრამ... დარჩენილ დროში ტორონტომ ჯერ გაათანაბრა, მერე კი ანტროპოვის ჟამიც დადგა — ყაზახმა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ მანამდე შარშან მოსკოვის დინამოში მოასპარეზე (30 თამაშში 5 გოლი) ანტროპოვს ერთადერთი გოლი ჰქონდა გატანილი. მატჩის შემდეგ, ცხადია, ტორონტოელებმა ტკბილი სიტყვები არ დაიშურეს ყაზახის მიმართ, ყველაზე მეტად კი მაინც ცნობილმა პოლიციელმა ტაი დომიმ შეაქო. „შედარება არ მიყვარს, მაგრამ მე მასში მომავალ ალექსეი იაშინს ვხედავ, ოღონდ მასზე პატარაა" — იხუმრა დომიმ პარტნიორზე, რომლის სიმაღლეც 195 სმ-ია.

გიგანტ ანტროპოვის გამოჩენამ მარტო ბურე კი არა, დღის ყველა სხვა მოვლენებიც დაჩრდილა. არადა, ძალიან საინტერესო გამოდგა სან ხოსეში გამართული თამაში, სადაც „ზვიგენებმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემპიონატის ლიდერ დეტროიტს, თითქმის ტოლ-სწორად ეთამაშნენ და არაფრით მისცეს საშუალება, გადამწყვეტი უპირატესობა მოეპოვებინათ. ჩინებულად გამოიყურებოდა სანხოსელთა ლიდერი ოუენ ნოლანი (2+1), რომელიც მორიგი დუბლის შემდეგ 25 გოლით კვლავ გაუტოლდა იარომირ იაგრს. თუმც 48-ე წუთზე, მასპინძელთა მცველ რატიეს შეცდომის შემდეგ, ბრენდან შენაჰანმა მატჩში თავისი მეორე გოლი გაიტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სანხოსელთა სპეციალისტია — „ზვიგენების" წინააღმდეგ გამართულ 30 თამაშში მას უკვე 22 გოლი და 40 ქულა დაუგროვდა.

საინტერესო გახლდათ ორთაბრძოლა მონრეალშიც — როგორც კი პიტსბურგელთა სუპერფორვარდი იარომირ იაგრი ყინულზე გამოვიდოდა, მასპინძლები მას უმალვე შეინ კორსონს უპირისპირებდნენ. მთელი მატჩის განმავლობაში კორსონმა ჩეხს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, ხოლო მას შემდეგ, რაც შეხვედრის ბედი გადაწყდა, თვითონაც გაილაღა და მეგოლის თვისებებიც გამოავლინა.

აღსანიშნავია, რომ მონრეალისთვის ერთ მატჩში ხუთი გოლი სეზონში უმაღლესი მიღწევაა. ჯერ მარტო მცველმა კარლ დაიპიუსმა გოლს ორი პასიც დაამატა და სამი ქულა დააგროვა.

კაროლინაში მასპინძელთა ლიტველი მეკარე არტურ ირბე ყველაზე მეტად თანამემამულემ, კოლორადოს შემტევმა მცველმა სანდის ოზოლინშმა (2 გოლი) გაანაწყენა, ერთიც პეტერ ფორსბერგმა დაამატა. საინტერესოა, რომ ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა შვედმა პირველ მატჩში 5 (2+3) ქულით ნამდვილი ბენეფისი მოიწყო, მაგრამ შემდეგ ჩრდილში მოექცა.

სამველ ლარიბიანი

ვყიდი
„ფიშერის" უხმარ თხილამურებს (180 სმ)
და „უნივექსის" სათვალეს ☎ 69 19 39

პიტსბურგელ მეკარე ჟან სებასტიან ობენს მონრეალელებმა შავი დღე აყარეს

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ტორონტო	35	20	4	2	11	105:78	46
ოტავა	33	16	5	1	12	84:76	38
ბოსტონი	33	13	8	0	12	83:85	34
ბუფალო	33	13	5	1	15	81:85	32
მონრეალი	34	12	2	1	20	73:85	27

ატლანტა

ფილადელფია	34	19	5	1	10	103:78	44
ნიუ ჯერსი	32	18	3	2	11	94:77	41
პიტსბურგი	31	12	3	4	16	96:93	31
რეინჯერსი	31	12	4	2	15	80:88	30
აილენდერსი	30	7	5	0	18	62:94	19

სამხრეთ-აღმოსავლეთი

ფლორიდა	32	19	2	2	11	95:76	42
კაროლინა	33	13	7	0	13	80:86	33
ვაშინგტონი	31	12	5	1	14	77:84	30
ტამპა	31	10	5	3	16	86:101	28
ატლანტა	31	7	2	2	22	65:115	18

ცენტრი

დეტროიტი	34	22	3	1	9	119:81	48
სენტ ლუისი	32	20	3	0	9	99:68	43
ჩიკაგო	33	9	4	2	20	90:104	24
ნეშვილი	33	9	4	2	20	81:105	24

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	35	16	4	1	15	96:97	37
ედმონტონი	34	10	9	5	15	82:91	34
კალგარი	33	13	4	1	16	79:100	31
ვანკუვერი	33	11	7	2	15	85:100	31

წყნარი ოკეანე

ფინიქსი	33	19	3	0	11	102:85	41
სან ხოსე	37	17	4	2	16	109:99	40
ანაჰაიმი	34	17	4	1	13	87:74	39
დალასი	34	17	4	1	13	81:76	39
ლოს ანჯელესი	33	16	1	6	11	103:96	39

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 53 (25+28); ნოლანი (სან ხოსე) 50 (25+25); რეკი (ფილადელფია) 45 (15+30); რენიკი (ფინიქსი) 41 (16+25); ტარჯონი (სენტ ლუისი) 37 (15+22); ლინდროსი 36 (16+20); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 35 (18+17); დრური (კოლორადო) 35 (10+25); დემიტრა (სენტ ლუისი) 34 (14+20); დამფუსი (სან ხოსე) 34 (10+24); ბურე (ფლორიდა) 33 (21+12); ჰეიდუკი (კოლორადო) 33 (18+15); ფრიზენი (სან ხოსე) 33 (15+18); პ. კარია (ანაჰაიმი) 33 (14+19)

ახალბედები: გომესი (ნიუ ჯერსი) 31 (15+26); ტანგეი (კოლორადო) 12 (7+14); იორკი (რეინჯერსი) 17 (10+7); ს. კარია (ვანკუვერი) 17 (6+11); ჰეხტი (სენტ ლუისი) 17 (5+12); შეფერი (ვანკუვერი) 16 (8+8); განი (ფილადელფია) 16 (6+10); სტიუარტი (სან ხოსე) 16 (5+11); ლეტოვსკი (ფინიქსი) 14 (8+6); ლეგვანდი (ნეშვილი) 14 (6+8); კონოლი (აილენდერსი) 14 (5+9); შტეფანი (ატლანტა) 14 (4+10)

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ჩელიოსი (დეტროიტი) +32; პ. კარია +20; სელიანე (ანაჰაიმი) +17; დრეიკი (ფინიქსი), დიუშენი, ვერბიკი (ორივე დეტროიტი) +16

REUTERS კვებეკიდან

სნოუბორდი კვებეკში

კვებეკში სნოუბორდის მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპი მიმდინარეობს. ეს ჰაერში გამოკიდებული ვინმე, იაპონელი იუნ იოანიკავა გახლავთ, რომელსაც მონტ სენტ-ანას სასნოუბორდოდ გაწყობილ ბორცვებზე შეჯიბრისას მეორე ადგილი დაუჭერია.

აუ, რამდენი ანძაა?!

ამ შაბათს სიდნეი-ჰობარტის საიახტო შეჯიბრი იწყება. გზა 630 საზღვაო მილია. ამიტომაც მოუყრია სიდნეის ნავსადგურში თავი 82 იახტას. აი, რამდენი ანძა ჩანს ამ ფოტოზე. შარშანდელი სიდნეი-ჰობარტი დიდად ტრაგიკული გამოდგა. შტორმმა ექვსი მეზღვაური იმსხვერპლა, 55-ს კი ვერტმფრენით დაეძებდნენ. მაშინ ქარი 80 კვანძის სიჩქარით ქროდა, ტალღების სიმაღლე კი 15-20 მეტრს აღწევდა.



REUTERS სიდნეიდან

REUTERS ოკაზაკიდან

საბერძნეთი

XII ტური
პანაპაჩაკი – ნეაპოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ელექტროროკორდი

„მიცუბიში მოტორზის“ კორპორაციას ზეიმის კარვი საფუძველი აქვს. ამათი ახალი ელექტრული მანქანა „ფტო-ევ“-ი. იმგვარი რამ გამოდგა, რომ ოკაზაკის ტრასაზე ერთ დღეში 2 ათასი კილომეტრი დაფარა. უფრო ზუსტად კი 24 საათში 2,142 კილომეტრი გაიარა. აქამდე კი მსოფლიო რეკორდი 1,700 კილომეტრი იყო. იგი სამი წლის წინათ დაეშყარებინა „ჯენერალ მოტორზის“ მსგავს მოდელს.

REUTERS ბადენ ბადენიდან

REUTERS ბადენ ბადენიდან

გერმანიის რჩეულნი

გერმანიაში წლის სპორტსმენები დაასახელეს. საუკეთესონი ასამდე გერმანელმა სპორტულმა ჟურნალისტმა აირჩია. ბადენ-ბადენის საფესტივალო დარბაზში დიდი ხმაურობა და ზეიმი იყო. წლის საუკეთესო სპორტსმენად ტრამპლინიდან მხტომელი მარტინ შმიდტი (შუაში) აღიარეს. ამ ნომინაციაში მეორე ადგილზე სიგრძეზე მხტომელი ჩარლზ ფრედერიკი (მარჯვნივ) გავიდა, მესამეზე ბიატლონისტი სვენ ფიშერი (მარცხნივ). ქალთა შორის პირველი კვლავინდებურად ჩოგბურთელი შტეფი გრაფი გამოდგა. შტეფი ბევრჯერ გყავთ ნანახი და ახლა მეორეადგილოსანს შევხედოთ: გუნდა ნეიმან-შტირნემანი განთქმული მოციგურავეა და ამჟამად მეორე გახლავთ მსოფლიოს თასის საერთო ცხრილში. ესეც არ იყოს და ძალიან პოპულარული და მხიარული გოგოა.

სპორტსმენთა მოლხენა დიდი ყოფილა. შმიდტი თავის მოტრამპლინე თანაგუნდელებთან ჩამჯდარა და კარგი დროც უტარებია.

REUTERS ბადენ ბადენიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი – 79, **საფოსტო ყუთი** 208. **ტელეფონი:** 39 48 29 **ელექტრონული ფოსტა** sarbieli@iberiapac.ge **ელექტრონული ვერსია** http://www.opentext.org.ge/sarbieli